www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 25 სექტემბერი, 2012 წელი. | №3117 (212) | ფასი 50 თეთრი

საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღება შენარჩუნდება

დათო გამისონია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა ხმაურიანად მიმდინარეობდა. ცესკო ფოტო და ვიდეოგადაღების საკითხს რამდენიმე საჩელის განხილვის შემდეგ მიუბრუნდა. სხდომის პარალელურად კი შენობის წინ შეკრებილნი პროექტის განხილვას აპროტესტებდნენ. აქციაში კოალიცია "ქართული ოცნების" და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები მონაწილეობდნენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

პოლიციელთა და საჯარო მოხელეთა "მოსყიდვის საქმე"

შსს-მ საჯარო მოხელეების და პოლიციის თანამშრომლების მოსყიდვის მცდელობის საქმის გამოძიება დაიწყო. შსს-ს დეტექტივ ლევან წიკლაურის განცხადებით, მოსყიდვის საქმეში "ქართული ოცნების" წევრები და მასთან დაახლოებული პირები მონაწილეობდნენ.

"სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მსგავსმა ქმედებებმა ხშირი ხასიათი მიიღო," - განაცხადა დეტექტივმა, რომლის ინფორმაციითაც, დაკავებული არიან გიორგი ღერკერაშვილი, გიორგი ძოწენიძე, კობა სამხარაძე და პოლიციის თანამშრომელი რომან მაისურაძე.

ლევან წიკლაურის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელის მოსყიდვის ერთ-ერთ ფაქტზე ამოიღო პოლიციელისთვის შეთავაზებული 50 ათასი აშშ დოლარი.

"აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება სხვა პირების მიმართაც მიმდინარეობს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ერთპარტიული "არჩევნები" ბელარუსში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის სიტყვების თანახმად, ბელარუსის პარლამენტში ვერც ერთი ოპოზიციური პარტიის კანდიდატი ვერ შევიდა. ლიდია ერმოშინას განცხადებით, არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 74,3 პროცენტმა მიიღო. მისი სიტყვებით, პირველ ტურში 110 დეპუტატიდან არჩეულია 109. განმეორებითი არჩევნები ჩატარდება მხოლოდ გომელის ოლქის ნოვობელიცკის საარჩევნო ოლქში.

"ჩვენ ვერ მოვასწარით მთელი ინფორმაციის შესწავლა, გვაქვს მხოლოდ არჩეული კანდიდატების გვარები, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ვინმე (ოპოზიციის წარმომადგენელი) პარლამენტში მოხვდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ოპოზიცია ოპოზიციის წინააღმდეგ

ნათია მსხილაძე

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა", "ახალი მემარჯვენეები", "ლეიბორისტული პარტია" არც ერთი მათგანი არ არის ოპოზიციური პარტია, ისინი სააკაშვილის კუდები არიან. ისინი უფრო უარესები არიან, ვიდრე "ნაციონალური მოძრაობა." "ნაციონალური მოძრაობა"თავის სახეს აჩვენებს, ესენი კი იქ არიან და გვატყუებენ, თითქოს იქ არ არიან. ესენი კიდევ უფრო უარეს პოზიციაზე დგანან და არაფერი მოგატყუონ. თუ ხუთი ნომერი მოდის თქვენთან და გთხოვთ მხარდაჭერას, შეახსენეთ, რომ საკანი, სადაც პატიმართა წამება ხდებოდა, ხუთი ნომერი იყო. თუ "ნაციონალების" მხრიდან დეპუტატი გაკითხავთ მხარდაჭერისთვის, ჰკითხეთ მას, იზიარებს თუ არა, როგორი წამებაც ხდებოდა საკნებში. ასევე, უნდა ჰკითხოთ თქვენს მეზობლებს და მეგობრებს, როცა ისინი მხარს უჭერენ "ნაციონალურ მოძრაობას", იზიარებენ თუ არა იმას, რასაც "ნაციონალები" აკეთებენ. თქვენ უნდა აუხსნათ და დაეხმაროთ თქვენს მეზობლებს და მეგობრებს," - ასე შეაფასა კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ვანიშვილმა ის პარტიები, რომლებიც არჩევნებში მისი კონკურენტები არიან.

"ახალმა მემარჯვენეებმა" მათ მიმართ კოალიციის ლიდერის ასეთი გაღიზიანება იმით ახსნეს, რომ ივანიშვილს სააკაშვილივით ერთპიროვნული მმართველობა სურს, რასაც "მემარჯვენეები" ეწინააღმდეგებიან. **"ბიძინა ივანიშვილის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიებიდან გამონაკლისია "ახალი მემარჯვენეები", რომლებიც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ ქვეყნისთვის არ იქნება სასიკეთო, თუ მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობა ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნული მმართველობით ჩანაცვლდება.**

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6575₾
1 ევრო	2.1566₾
1 ინგლისური გირვანქა	2.6981₾
1 თურქული ლირა	0.9233₾
100 რუსული რუბლი	5.3182₾

თბილისი	23°C - 16°C
ქუთაისი	31°C - 18°C
თელავი	24°C - 13°C
ზუგდიდი	31°C - 14°C
ბათუმი	29°C - 17°C

ნავთობი	3.08	-0.04	-1.15%
გაზი	2.84	-0.04	-1.51%
ოქრო	1,764.30	-13.70	-0.78%
ხორბალი	893.50	-3.75	-0.42%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ბათუმმა "სიბნელეში" მოიწონა

ბელა ტარი კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოეს

ია ვეკუა

ბათუმში თითქმის ერთკვირიანი კინომარათონი დასრულდა - საავტორო კინოს ფესტივალი გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალის ფონზე დაიხურა. ჟიურიმ პრიზები როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციების საუკეთესო ფილმების ავტორებს გადასცა, მხატვრული ფილმის ნომინაციის რჩეული კი აგნეშკა ჰოლანდის "სიბნელეში" გახდა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

კადრი ფილმიდან "მთებს მიღმა".

თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იწყება

ლიზა ბათიაშვილი

პრეზიდენტი კახეთში

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ კახეთში წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა. მიხეილ სააკაშვილთან ერთად გურჯაანში პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე იმყოფებოდნენ.

ისინი მხარდამჭერებს ქალაქის მთავარ მოედანზე შეხვდნენ. თავდაპირველად, მოსახლეობის წინაშე ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე გამოვიდნენ, რის შემდეგაც ამომრჩევლებს პრეზიდენტმა მიმართა.

"მოდით, ყველა ერთად დავდგეთ და ვთქვათ, რომ არასდროს დაბრუნდება ორგანიზებული დანაშაული! კრიმინალები, რომლებიც ატერორებდნენ ჩვენს ხალხს, აღარ ივლიან ქუჩაში თავისუფლად, აღარ დაბრუნდებიან კანონიერი ქურდები, აღარ დაბრუნდებიან კორუმპირებული პოლიციელები და არ ჩაიგდებენ ხელში მასობრივად სისტემას, აღარ დაბრუნდება რეკეტი, ამაზე მოვილაპარაკოთ! ნუ ვცდილობთ ისეთი თემით თამაშს, რომელიც ხვალ და ზეგ უკან შემოგვიბრუნდება," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ვინც სხვა სცენარით ითამაშებს, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება. "ამათ უნდოდათ, ამ კვირაში ჩაეგდოთ შოკში ქართული საზოგადოება. ჩვენ უფრო ადრე აღმოვაჩინეთ ეს გეგმები და გამოვაჩინეთ ხალხი, ვინც ამ სიბინძურეს აკეთებდა. ცოტა ადრე მოუვიდათ. მათ არა მარტო მთავრობის ჩაყენება უნდოდათ ჩოქბჯენში, არამედ - მთელი საზოგადოების. მათი ილეთი უკან შეუბრუნდებათ და ჩვენ სუფთაზე დავდებთ, ბეჭებზე," - აღნიშნა ქვეყნის პირველმა პირმა.

მისი თქმით, ისიც იცის, რომ ყველაფერი იდეალურად არ არის.

"მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ბედს, ადამიანის გადარჩენას, ბოროტებისა და სისასტიკის შეჩერებას, ძალადობის აღკვეთას - ხალხო, გაახილეთ თვალები. რა შუაშია პარტიული კუთვნილება?! რა შუაშია, 2 პროცენტით მეტი მოგემატება არჩევნებში თუ ნაკლები. ეს ხომ საერთო, ქართული თემებია. არ შეიძლება ადამიანის გაჭირვებაზე თამაში - დამნაშავეა თუ არადამნაშავე. არ შეიძლება ამ ადამიანების ბედით სპეკულირება, ამ ადამიანების უბედურების ყიდვა-გაყიდვა. გეგონება ეს იყოს ვალუტა, რომელიც უნდა გადაცვალო და ამის მეშვეობით შენი მიზნები შეასრულო," - განაცხადა სააკაშვილმა.

კახეთში ჩასვლამდე პრეზიდენტი ხაშურში, სურამსა და კასპში იმყოფებოდა. მიხეილ სააკაშვილმა სურამში საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის აუცილებლობაზე ისაუბრა. კასპის მოსახლეობასთან შეხვედრისას კი სოფლებში გზებისა და გაზის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება.

გაიმართა ახალი საგამოცდო მოდელის პრეზენტაცია

აბიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად ახალი პროგრამის მიხედვით მოუწევთ გამოცდების ჩაბარება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გუშინ საგამოცდო მოდელის "8+1" პრეზენტაცია გაიმართა.

მეთორმეტეკლასელებს ახალი საგამოცდო მოდელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მადლენ ხელაშვილმა გააცნეს. ხელაშვილის განცხადებით, ახალი ერთიანი საგამოცდო პროგრამა ფარავს ერთდროულად ორ დონეს - ატესტატის მიმღებთა და აბიტურიენტებისთვის.

გამოცდების ჩაბარების მთავარი სიახლეებია: დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვალდებულია, 8 საგანში ჩააბაროს გამოცდა; სააბიტურიენტო კონკურსში მისაღებად მოსწავლე სურვილისამებრ ირჩევს პროგრამებს და დამატებით აბარებს ზოგადი უნარების გამოცდებს; გამოცდები კომპიუტერზე ჩატარდება; ქართულისა და უცხო ენის წერითი დავალებები ქაღალდზე შესრულდება; უცხოური ენებში საგამოცდო ფორმატს მოსმენის (Listening) კომპონენტი დაემატება; ერთიანი ეროვნული გამოცდები სკოლებში სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყება; სექტემბრის ბოლოს საგამოცდო პროგრამები გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდება; ოქტომბრის ბოლოს უნივერსიტეტებისა და აკადემიური პროგრამების შესახებ ცნობარი გამოიცემა; მეორე სემესტრიდან სკოლებში აბიტურის საათებს საგანი "საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები" დაემატება და მოსწავლეები ახალი ტესტის ფორმატზე კომპიუტერებთან ივარჯიშებენ; რეგისტრაციას მოსწავლეები სკოლებში მარტის დასაწყისიდან ერთი თვის ვადაში გაივლიან; აბიტურიენტები რეგისტრაციას თავად გაივლიან და 20 სასურველი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ექნებათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს უზენაესი სასამართლოს თანამშრომელს თამარ ბროკიშვილს მამის

ომარ ბროკიშვილის

გარდაცვალების გამო.

ოპოზიცია ოპოზიციის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ბიძინა ივანიშვილი სწორედ იმ ძალებს უპირისპირდება, რომლებიც მას ხელს უშლიან ამ მიზნის განხორციელებაში, მაგრამ რამდენად შედის ეს ქვეყნის ინტერესებში, ამას საქართველოს მოსახლეობა გადაწყვეტს. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობას არ სურს, ერთპიროვნული მმართველობა ისევ იხილოს, - აღნიშნა "მემარჯვენე" მანანა ნაჭყებიამ, - **მოსახლეობა ხედავს, რომ ორ პოლიტიკურ ძალას შორის შეჯიბრი მიდის პირველობისთვის და არა იმისთვის, რომ სახელმწიფო ინტერესებს ემსახურონ. მე გახლდით იმის მოწმე, როგორ ჩამოიყვანა მთელი საქართველო ზუგდიდში ბიძინა ივანიშვილმა და მეორე დღეს მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილმა ეს ივანიშვილის ჯიბრზე გააკეთა. საქართველოს მოსახლეობა დაიღალა ამ დაპირისპირებით. მე შემიძლია, ზუგდიდის მაგალითზე გითხრათ: მოსახლეობის განწობა დღეს არის ის, რომ მათ არჩევანის გაკეთება მშვიდ გარემოში შეძლონ. მოვისმინოთ პარტიების მოსაზრებები და ამის შემდეგ გავაკეთოთ არჩევანი. მოსახლეობას სჭირდება ისეთი საარჩევნო კამპანია, რომელსაც "ახალი მემარჯვენეები" აწარმოებენ.**

"ლიბორისტული პარტიის" გენერალური მდივნის სოსო შატბერაშვილის განცხადებით, საქართველოს მოსახლეობას ბინძური ძალების ერთი ნაწილი ცოცხებით აუპატიურებს, ხოლო მეორე ნაწილი "სისხლიანი დოლარებით" უმაგრებს ზურგს.

"ჩვენი სამშობლოს დაპატრონებას კვლავ ცდილობს ორი ბინძური ძალა, რისთვისაც ერთი ცოცხით აუპატიურებს ადამიანებს, ხოლო მეორე სისხლიანი დოლარებით. მოვუწოდებთ სიამის ტყუპ სააკაშვილ-ივანიშვილს, მოხსნან არჩევნებიდან თავიანთი სამარცხვინო პარტიები და მისცენ ქვეყანას ძალადობისა და მოსყიდვის გარეშე ისტორიული არჩევანის გაკეთების საშუალება.

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის განცხადება გააპროტესტა "ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამაც". "ქრისტიან-დემოკრატებისთვის" მიუღებელია კრიტიკა იმ პიროვნებისგან, რომელიც თავად აფინანსებდა, აძლიერებედა და მხარს უჭერდა მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას. **"ამ პერიოდში ჩვენ, გიორგი თარგამაძე და მისი გუნდის წევრები, ვცდილობდით, ხელისუფლება ხერხემალში გადაგვეტეხა და სწორედ ჩვენ გადავტეხეთ ხერხემალში ხელისუფლება, როცა ნულოვანი ტოლერანტობის პირობებში საზოგადოებას გავაგებინეთ, როგორი არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, წამებებს ჰქონდა ქვეყანაში ადგილი. ეს ჩვენ გავაგებინეთ ქვეყანას,"** - აღნიშნა ინგა გრიგოლიამ.

"ქრისტიან-დემოკრატების" მტკიცებით, ახალი პარლამენტი უნდა იყოს მაქსიმალურად დაბალანსებული, სადაც არც ერთი პოლიტიკური ძალა არ იქნება უმრავლესობით წარმოდგენილი.

საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღება შენარჩუნდება

პირველი გვერდიდან

ცესკო-ს სხდომას მისი ოპოზიციონერი წევრების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თავიდანვე ცნობილი იყო ზურაბ ხარატიშვილის პოზიცია - ის სხდომას დადგენილების მიღების გარეშე არ დაასრულებდა. მსჯელობის საგანს კი პროექტის კონკრეტული მუხლების შინაარსი წარმოადგენდა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იდეალურ ვარიანტად პროექტის გამოთხოვას მიიჩნევდნენ.

ერთ-ერთი პირველი შეთანხმება საარჩევნო უბანზე ვიდეოკამერების დაშვებას ეხებოდა. თუმცა, მსჯელობა დაშვების ხანგრძლივობის საკითხზე გაგრძელდა. ცესკო-ს წევრთა ნაწილი გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღების წინააღმდეგი იყო და სხდომის გადადებას მოითხოვდა.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ზურაბ ხარატიშვილმა აღნიშნა: **"კომისიის ყველა წევრი თანხმდება, რომ საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღების პერიოდი არ შეიზღუდოს, თუმცა, დადგენილებით კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, რა ქმედება შეიძლება ჩაითვალოს საარჩევნო პროცესისთვის ხელშეშლად."** მისი განმარტებით, 3 700 საარჩევნო უბანზე ერთი და იგივე საკითხი შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული. **"ამ საკითხის დაურეგულირებლობა ინტერპრეტაციებს გამოიწვევს,"** - მიიჩნევდა ზურაბ ხარატიშვილი.

ცესკო-ს თავმჯდომარე სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად დადგენილების პუნქტობრივი განხილვის ინიციატივით გამოვიდა და თითოეული მუხლის შესახებ აზრის გამოთქმის უფლება სხდომაზე მყოფ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებს მისცა.

მოგვინებით ზურაბ ხარატიშვილმა თქვა, რომ სადავო მუხლებზე ცალკე მოილაპარაკებდნენ. მართალია, კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ საარჩევნო უბანზე ფოტო და ვიდეოგადაღება მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში დაშვებული იქნება, თუმცა როგორც აღინიშნა, შეზღუდვები საარჩევნო კომისიის იმ წევრებს შეეხებათ, რომლებმაც, შესაძლოა, ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცენ. პროექტის თანახმად, უბანზე ინტერვიუების ჩაწერა აიკრძალება. კომისიის წევრთან ინტერვიუს ჩაწერა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობით, უბნის გარეთ იქნება შესაძლებელი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამ ნორმის შენარჩუნება გააპროტესტეს. ისინი დამატებითი რეგულაციების შემოღების აუცილებლობას ვერ ხედავენ. ცესკო-ს წევრებმა კი მათ სხდომის ჩაშლის მცდელობის გამო უსაყვედურეს. ზურაბ ხარატიშვილის არაერთი მოწოდების მიუხედავად, ისინი არ მშვიდდებოდნენ. დარბაზიდან ნანა კაკაბაძის გაძევების მცდელობაც იყო. ამასთან, ზურაბ ხარატიშვილი სხდომის დახურვითაც დაიმუქრა. საბოლოოდ, კომისიის წევრებმა დადგენილების სადავო პუნქტებზე ცალკე მოლაპარაკება გადაწყვიტეს. სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. **"ახლანდელი სხდომა არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ რატომ უნდა განისაზღვროს დადგენილებით, თუ რა არის ხელშეშლა,"** - აღნიშნა ზურაბ ხარატიშვილმა.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღება სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან მთელი კენჭისყრის პროცესში იქნება შესაძლებელი.

ზურაბ ხარატიშვილის თქმით, ფოტო და ვიდეოგადაღებისას გადაადგილება თავისუფალი იქნება რამდენიმე წუთის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კამერები სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე განთავსდება, საიდანაც საარჩევნო ყუთი უნდა ჩანდეს. გადაღება კი დაშვებული იქნება პირველი ამომრჩევლის მისვლიდან ბოლო ამომრჩევლამდე, შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების ჩათვლით.

რაც შეეხება ამომრჩეველს, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, უბანზე მისი მისვლისას გადაღება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დადგენილებას კენჭი უკვე უყარა და 11 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

ცესკო-ს სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ზურაბ ხარატიშვილთან მოლაპარაკება გამართეს, თუმცა საბოლოო პასუხი ვერ მიიღეს. დისკუსია რამდენიმე საათს გაგრძელდა. შეხვედრაზე "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა თქვა, რომ საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღების უფლება საარჩევნო კოდექსში პარლამენტმა, სამოქალაქო სექტორის ძალისხმევით, ვიდეოთვალის გაუქმების საკომპენსაციოდ ჩადო.

მისივე თქმით, საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე აკრძალვის დაწესებით ცესკო საკუთარი მანდატის ფარგლებს სცილდება, ამ აკრძალვით მედიას და დამკვირვებლებს კანონით მინიჭებული უფლება ეზღუდებათ. ჩუგოშვილი პასუხობს ცესკო-ს თავმჯდომარის არგუმენტსაც, რომლის თანახმადაც, ფოტო და ვიდეოგადაღებით საარჩევნო პროცესს, შეიძლება, ხელი შეეშალოს. **"თუ მედიის წარმომადგენელი დისკომფორტს შექმნის, საუბნო საარჩევნო კომისიას მისი გაძევების უფლება აქვს. ნორმატიული აქტებით ამ საკითხის დამატებითი რეგულირება საჭირო არ არის,"** - მიიჩნევს ჩუგოშვილი. იგი ასევე დასძენს, რომ ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში დარღვევების დამტკიცება გართულდება. **"ამ შინაარსის დადგენილების მიღება საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისთვის სერიოზული დარტყმა იქნება და ის დიდ საზოგადოებრივ პროტესტს გამოიწვევს,"** - აცხადებს თამარ ჩუგოშვილი.

ჟურნალისტი ზვიად ქორიძე მიიჩნევს, რომ დადგენილებას პოლიტიკური მიზნები განაპირობებს. სამოქალაქო სექტორმა ზურაბ ხარატიშვილს კითხვებით მიმართა: რატომ იღებენ დადგენილებას არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე? ვინ არის მისი კონკრეტული ინიციატორი?

ხარატიშვილმა დადგენილების მიზანშეწონილობის შესახებ ისაუბრა. **"ვხედავ რეალურ საშიშროებას, რომ საარჩევნო უბანზე მუდმივი გადაღება მნიშვნელოვნად დააშინებს ამომრჩეველს და აქტივობას შეამცირებს. რიგითი ადამიანის ქცევასა და გადაწყვეტილების მიღებაზე დიდ გავლენას ახდენს მისთვის მიშვერილი კამერა. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ამ დადგენილებაში ხელშეშლის ფაქტების დაკონკრეტება. გარდა ამისა, ამ პუნქტის ამოღებაზე რეკომენდაცია თავის დროზე ეუთო-სა და ვენეციის კომისიის დასკვნებში ჩაიწერა. გარდა ამისა, გეთანხმებით, რომ დაუშვებელია, საარჩევნო უბნებზე სრულიად აიკრძალოს ფოტო და ვიდეოგადაღება, თუმცა მე არ ვარ მინისტრი, რომელიც ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას დადგენილების მიღების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ, რადგან, მოგეხსენებათ, კომისია 13 წევრისგან შედგება და გადაწყვეტილებებიც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება,"** - განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა. მისივე თქმით, დადგენილებას ერთი კონკრეტული სახელობითი ინიციატორი არ ჰყავს.

რაც შეეხება პარლამენტთან მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებას, ხარატიშვილის თქმით, ცესკო-ს არა აქვს ვალდებულება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კანონმდებლებს შორის მიღწეული შეთანხმება დაიცვას. მისივე თქმით, მით უმეტეს, საუბარია არა საარჩევნო კოდექსში არსებული ჩანაწერის გაუქმებაზე, არამედ მისთვის ჩამოყალიბებული სახის მიცემაზე.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა ხარატიშვილის არგუმენტები არ გაითვალისწინეს და თავიანთი შეხედულებები პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს. მათ ცესკო-ში დადგენილების ინიცირება პოლიტიკურ ნაბიჯად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ ამით ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებლობას მთლიანად იცილებს და მისი მთავარი საქმიანობა არჩევნების დღეს მხოლოდ ოქმების დათვლა იქნება. როგორც პრესკონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ ცესკო დადგენილებას მიიღებს, მისი არჩევნებამდე გაბათილება შეუძლებელი იქნება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საპროტესტო მოთხოვნები უცვლელია

მარი ახსიაშვილი

ფართომასშტაბიანი სტუდენტური აქციები, როგორც დაგეგმილი იყო, გუშინ განახლდა. თსუ-ს პირველი კორპუსის წინ, სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შეიკრიბნენ და ციხეებში არსებული ძალადობა გააპროტესტეს. მათ შეუერთდნენ სამხატვრო აკადემიის და სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებიც.

გუშინდელ აქციაზე რამდენიმე მონაწილემ და "ლაბორატორია 1918"-ის წევრმა სხეული დაისერა და მაისურებზე სისხლით წაიწერა - "მე მიყვარს პოლიცია". აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ წარწერა ირონიულია. ამ ქმედებას რამდენიმე მომიტინგე შეეწინააღმდეგა, რადგან, მათი თქმით, აქცია ძალადობის გარეშე უნდა წარიმართოს.

ცოტა ხანში სტუდენტებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან თავდაცვის სამინისტრომდე მსვლელობა მოაწყვეს. სტუდენტების სიმრავლის გამო, სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდა.

თავდაცვის სამინისტროსთან ახალგაზრდებს მორაგბეთა კლუბ "არმაზის" წევრები შეურთდნენ. ასევე, ადგილზე დახვდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. მათ ჰქონდათ ბანერი - "ჩვენ გვტკივა თქვენი დემოკრატია". სტუდენტების განცხადებით, ეს არის პირდაპირი გზავნილი ხელისუფლებისთვის, რომ შეწყდეს ძალადობა. სტუდენტები აქციაზე ხშირად სკანდირებდნენ - "მშვიდობა", რაც, მათი თქმით, საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მთავარი სათქმელია. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ არ უნდა აყვნენ არავითარ პროვოკაციას და არ უნდა დაუშვან არჩევნების გადადება.

თავდაცვის სამინისტროსთან აქციას არასამთავრობო ორგანიზაციების "საია"-სა და "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ხელმძღვანელებიც შეუერთდნენ. საია-ს ხელმძღვანელ თამარ ჩუგოშვილის თქმით, მათი მოთხოვნები ემთხვევა აქციის მონაწილეების მოთხოვნებს. ჩუგოშვილის განცხადებით, არ არის საკმარისი მხოლოდ ხათუნა კალმახელიძე-ბაჩო ახალაიას გათავისუფლება და აუცილებელია, დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხიც. ასევე, ჩუგოშვილი ამბობს, რომ თანამდებობები უნდა დატოვონ იუსტიციის მინისტრმა და მთავარმა პროკურორმა.

"სხვანაირად ვერ მოხერხდება ობიექტური გამოძიება. ახლა მათ მიმართ არანაირი ნდობა არ არის და ვერც იქნება," - განაცხადა ჩუგოშვილმა და აღნიშნა, რომ აუცილებელია, ამოქმედდეს საზოგადოებრივი პროკურორის ინსტიტუტი და გამოიძიონ ყველა ის ფაქტი, რომლებიც ციხეებში ხდებოდა. საპროტესტო მსვლელობის მონაწილეები თავდაცვის სამინისტროდან იუსტიციის სახლისკენ გაემართნენ და იქ მოშიმშილე სტუდენტებს სოლიდარობა გამოუცხადეს. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ლაშა პექიზაშვილის თქმით, მათი ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი მოთხოვნაა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს ბაჩო ახალაია. მისი თქმით, იუსტიციის სახლთან ისინი სიმბოლურად შეიკრიბნენ.

"რამდენიმე დღის წინ იუსტიციის სახლი ჩვენმა ძვირფასმა პრეზიდენტმა გახსნა. ჩვენ გვინდა, მთავრობას დავანახოთ, რომ რაც არ უნდა გახსნას და რაც არ უნდა გააკეთოს, ჩვენ ვხედავთ ქვეყანაში გამეფებულ კრიმინალს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს კრიმინალი საქართველოში ბოლომდე ამოიძირკვოს," - განაცხადა ლაშა პექიზაშვილმა.

მას შემდეგ, რაც სტუდენტების აქციამ იუსტიციის სახლთან გადაინაცვლა, ბარათაშვილის ხიდსა და კოლმეურნეობის მოედანზე საპატრულო პოლიცია მობილიზდა, რამაც აქციის მონაწილეების ნაწილსა და გამვლელებში გააჩინა აზრი, რომ მათი დარბევა ან რამე სახის პროვოკაცია იგეგმებოდა. ცოტა ხანში მომიტინგეებთან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი და საპატრულო პოლიციის უფროსი გიორგი გრიგალაშვილი მივიდნენ. ხიზანიშვილის განმარტებით, პოლიცია მობილიზებული იყო ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით. ის აქციის მონაწილეებს გაესაუბრა და გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

"აქციის მიმდინარეობის ადგილთან ახლოს პატრულის თანამშრომლები იმისთვის არიან მობილიზებულნი, რომ გამოირიცხოს ყველანაირი პროვოკაცია ან დაძაბულობა. რასაც ვუყურებ, აქცია მშვიდად მიმდინარეობს და მე, უბრალოდ, ვთხოვე მათ, გზის სავალი ნაწილი გაათავისუფლონ," - დასძინა ხიზანიშვილმა.

პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით, სტუდენტური საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ფილარმონიისკენ მოაწყვეს მსვლელობა და იქ მიმდინარე მიტინგს შეუერთდნენ. ფილარმონიის შესასვლელთან გაკეთებულ რკინის ზღუდეებზე მონაწილეებმა გააკრეს პლაკატები, წარწერით - "არ აწამო!" ასევე გამოფენეს დიდი ბანერი - "არ აწამო! იწამე ადამიანი!" საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელ ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, მოთხოვნები უცვლელია. მათ კვლავაც აღმასრულებელი ხელისუფლების იმ წარმომადგენლების გადადგომა და პასუხისგებაში მიცემა მოითხოვეს, "რომლებიც პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში არიან დამნაშავეები". ასევე მოითხოვეს დაჩი ცაგურიას და ბექა ალადაშვილის გათავისუფლება.

"ცაგურია დღეს მამა გახდა და სამარცხვინოა, რომ ის ამას ვერ ზეიმობს," - აღნიშნა კობაიძემ და დასძინა, რომ აქციის მონაწილეები ასევე მოითხოვენ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ციხეებში 24-საათიანი მონიტორინგის უფლებას. მათ ხელისუფლების წარმომადგენლების ის განცხადებებიც გააპროტესტეს, რომელთა მიხედვითაც პატიმართა წამების ფაქტებს სხვა ქვეყნებშიც აქვს ადგილი.

ფილარმონიასთან გუშინ მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლის მსურველთათვის სპეციალური წესები შემოიღეს. ალექსანდრე კობაიძის განმარტებით, ვისაც სურს, აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართოს, არ უნდა იყოს ნასვამ მდგომარეობაში, არ უნდა ჰქონდეს სახეზე ნიღაბი და სიტყვით მიმართვის დროს, პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა წარადგინოს.

"აღნიშნული ნორმების დაცვა აუცილებელია იმისთვის, რომ მოსალოდნელი პროვოკაციები თავიდან ავიცილოთ," - განაცხადა კობაიძემ. მონაწილეებმა კი მიხეილ სააკაშვილს მოუწოდეს, "ახალგაზრდების ჯიბრზე ნუ არის".

ფილარმონიასთანვე, ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ვარდებს ამოფარებული ცოცხია. ახალგაზრდებმა ამის ვიზუალიზაციისთვის მიტინგზე ცოცხი მიიტანეს, რომელსაც მეორე მხარეს უკვე დამჭკნარი ვარდები ჰქონდა მიმაგრებული.

"თავიდან ვარდები იყო იმხელა, რომ ცოცხებს ვერ ვამჩნევდით. მერე მათ ნელ-ნელა დაიწყეს ჭკნობა და დაპატარავდნენ. აღმოჩნდა, რომ თურმე მათი ვარდების უკანიდგა ცოცხი, რომელსაც ძალიან ცუდად იყენებდნენ," - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლევან ჩიტაძემ. მისი თქმით, ვარდებიან ცოცხს, როგორც დღევანდელი ხელისუფლების სიმბოლოს, საქართველოში აკრედიტებულ ყველა ქვეყნის საელჩოსთან მიიტანენ.

ორგანიზატორთა ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად ემზადება.

"გვაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში სერიოზულად განიხილავენ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხს და ამისთვის ხელოვნურად ცდილობენ მდგომარეობის დაძაბვას. როგორც ცნობილია, საგანგებო მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ხელისუფლებას ეს შეგნებულად სურს, რადგან მის სასარგებლოდ ახლა მხოლოდ დრომ და არჩევნების გადადებამ შეიძლება იმოქმედოს," - განაცხადა დავით გოგიშვილმა.

ფილარმონიასთან მიმდინარე საპროტესტო აქციას გუშინ რეჟისორი ნიკუშა შენგელაია და მსახიობი ნანა შონიაც შეუერთდნენ.

"აქციაზე მისვლით ყველა იმ ადამიანს ვუცხადებ სოლიდარობას, ვინც არსებული ხელისუფლების ძალადობის მსხვერპლი გახდა. დღეს მე ამაყი ვარ, რადგან ვხედავ, რომ საქართველოს ბოლომდე არ დაუჩოქია და ახალგაზრდების გულში ანთია ის, რაც დიდი ხნის წინ უნდა ანთებულიყო," - განაცხადა შენგელაიამ და აღნიშნა, რომ არ სჯერა ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებისა, თითქოს მათ არაფერი იცოდნენ ციხეებში არსებული დანაშაულის შესახებ.

სტუდენტებმა გუშინდელი საპროტესტო გამოსვლა თსუ-ს პირველ კორპუსთან დაასრულეს, სადაც გაიმართა აქციაკონცერტი - "სისტემა უნდა დაინგრეს".

მიტინგი დღეს, 15:00 საათზე, ფილარმონიასთან განახლდება.

რუსეთის მხრიდან სამხედრო ინტერვენციის საფრთხე არსებობს

ერგნეთში გუშინ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების კომისიის სხდომა გაიმართა. შეხვედრა 5 საათს გრძელდებოდა. ქართული მხარის განცხადებით, მხარეებმა 9 საკითხი განიხილეს. მათ შორის, იმსჯელეს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებსა და ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების გადაადგილებებზე.

ქართული ჯგუფის უფროსმა, შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კახაბერ ქემოკლიძემ განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან სამხედრო ინტერვენციის საფრთხე რეალურად არსებობს. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე და ე.წ. საზღვრისპირა ზოლში აქტიურად შეინიშნება სამხედრო შენაერთებისა და ტექნიკის გადაადგილება. ქემოკლიძის განცხადებითვე, ანალოგიური გადაადგილებები გუშინაც დაფიქსირდა და ამის შესახებ განცხადება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმაც გააკეთეს.

რაც შეეხება ოსურ მხარეს, ხოხ გაგლოითიმ შეხვედრის დასრულების შემდეგ დაადასტურა 9 სექტემბერს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი და აღნიშნა, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე რუსულმა სამოქალაქო ვერტმფრენმა ნავიგაციური სისტემის მოშლის გამო დაარღვია. შეირაღებული ჯგუფების გადაადგილების საკითხზე კი გაგლოითიმ აღნიშნა, რომ 20 სექტემბრამდე მიმდინარეობდა მსგავსი გადაადგილებები ცხინვალში დაგეგმილი ღონისძიებების გამო, თუმცა ამჟამად სამხედროთა მობილიზაცია ან ტექნიკის გადაადგილება აღარ იგეგმება.

ოსურმა მხარემ კვლავ დააყენა ზარდიაანთკარის ქართული პოლიციის საგუშაგოს მოხსნის საკითხი. თუმცა, ქართული მხარის განცხადებით, აღნიშნული საგუშაგო მდებარეობს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ზარდიაანთკარში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდეც და მას შემდეგაც საქართველოს იურისდიქციის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის განხილვას ქემოკლიძე უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

რუსეთის მხრიდან დესტაბილიზაციისა და პროვოკაციის საფრთხის არსებობაზე გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემაც ისაუბრა. ნინო კალანდაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რუსეთის მხრიდან პროვოკაციის მცდელობა იქნებოდა.

"სწორედ ამიტომ მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებას, ყურადღება გამახვილებინა რუსეთის მასშტაბურ სამხედრო წვრთნებზე "კავკასია 2012"-ზე" - განაცხადა კალანდაძემ.

საქართველოს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ეწვევა

საქართველოს 26 სექტემბერს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბინი ეწვევა. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ეს იქნება ოფიციალური ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც უნგრეთის პრემიერი შეხვდება თავის ქართველ კოლეგა ვანო მერაბიშვილს, ასევე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ის ასევე დაესწრება ქუთაისის აეროპორტის გახსნის ღონისძიებას. გარდა ამისა, უნგრეთის პრემიერის ვიზიტის ფარგლებში, საქართველოსა და უნგრეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერება ხელი.

ნინო კალანდაძე გიგა ბოკერიას რუსეთში ყოფნას უარყოფს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას რუსეთში ყოფნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებს. როგორც ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ნინო კალანდაძემ განაცხადა, ეს ინფორმაცია არ დასტურდება და ბოკერია საქართველოში იმყოფება. მისივე თქმით, ბოკერიას არც არასდროს ჰქონია მიზანი, ამ ვითარებაში რუსეთში წასულიყო.

სოციალურ ქსელებში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიგა ბოკერია მოსკოვში იმყოფებოდა და იქ შეხვედრების გამართვას ცდილობდა.

ნინო კალანდაძე არჩევნებში ემიგრანტების მონაწილეობის უზრუნველყოფის პირობას დებს

"საგარეო საქმეთა სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს, რომ უცხოეთში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა 1-ელ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუფერხებლად შეძლონ," - ამის შესახებ ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კერძოდ, საკონსულო დეპარტამენტი, აქტიურად არის ჩართული არჩევნების პროცესში. კალანდაძის ინფორმაციით, 1-ელ ოქტომბერს საზღვარგარეთ 45 საარჩევნო უბანი გაიხსნება.

"ცესკო-ს მონაცემებით, არჩევნებში საზღვარგარეთ მცხოვრები 42 613 მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას," - განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, ყველაზე მეტი - 4 საარჩევნო უბანი საბერძნეთში გაიხსნება; თურქეთსა და უკრაინაში სამ-სამი; ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ორ-ორი.

ბიძინა ივანიშვილი გამოქვეყნებულ მასალებს დიდ სიცრუეს უწოდებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერების თაობაზე კომენტარები გააკეთეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, რომელთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ორ პარტიას შორის მიმდინარე "კომპრომატების ომი" ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერს კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა სიცრუე და შეთითხნილი უწოდა.

"ჩემი ძმისშვილია მართლაც ძალიან მიყვარს, მაგრამ ძალიან არასერიოზულია და ამიტომაც, ვერც ერთ სამსახურში ვერ გავაჩერე. ბოლო სამსახურიდანაც რამდენიმე თვის წინ გამოვუშვი, იმიტომ, რომ ძალიან ბევრს ცრუობს. ახლა უცებ თურმე ფულის დარიგება და პოლიციის მოსყიდვა დავავალე. ეს ყველაფერი შეთითხნილია, რაღაცას მაიმუნობენ. ამბობდნენ, რომ ვითომდა, რაღაცეები ჰქონდათ, რაც გამოაქვეყნეს აბსოლუტურად მოგონილია. მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ესეთი რამე არ მომხდარა, რომ ჩვენ ვინმეს მოსყიდვაზე გვეზრუნოს. ეს ჩვენს იდეოლოგიაში არ შედის. ეს არის დიდი სიცრუე.

ჩემს ძმისშვილს, ახლობელს თუ ჩვენი გუნდის წევრს მსგავი რამ რომ განეხორციელებინა, ეს ცენტრიდან უნდა წამოსულიყო, რაცსაც ადგილი არ ჰქონია, მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ამათი მოგონილია და ამის უკვე არავის სჯერა. ეს სიცრუე ისევ უკან დაუბრუნდებათ და ხალხის აღშფოთებას გამოიწვევს," - განაცხადა შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალებთან დაკავშირებით "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა.

"ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა განცხადებით კი, სამინისტროს მიერ გავრცელებული მასალა ცხადყოფს, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა და "ქართული ოცნება" ცდილობს, თავისი ფინანსური რესურსი სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციისთვის გამოიყენოს.

"შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მასალა ცხადყოფს, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა და "ქართული ოცნების" წარმომადგენლები ცდილობენ, თავისი ფინანსური რესურსი, ფული იმისთვის გამოიყენონ, რომ მოახდინონ მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია. მეტიც, ჩართონ ისინი დანაშაულში და ფულის გადახდის სანაცვლოდ მოახდინონ დანაშაულის პროვოცირება. ესაა დაუშვებელი ფაქტი. პოლიტიკური პარტია დაკავებული უნდა იყოს თავის ხედვის და გეგმის პოპულარიზაციით და არა მსგავსი ოპერაციების ჩატარებით, არა სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციით, არა მოქრთამვით და არა ადამიანების პროვოცირებით, რომ მათ ჩაიდინონ დანაშაული.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ "ქართულ ოცნებას", მსგავსი ქმედებებისგან თავი შეიკავონ და ფინანსური რესურსი არ გამოიყენონ იმისთვის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს ფუნდამენტი გამოაცალონ, ეს არის დაუშვებელი და საზოგადოებისთვის მიუღებელი ქმედება," - განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გაბაშვილმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც "ნაციონალური მოძრაობა" განმარტავს, "ქართული ოცნების" მხარდამჭერებისა და წარმომადგენლების მხრიდან ძალადობრივი და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები ბოლო პეროდში გახშირდა.

"საზოგადოების ინტერესია, რაც შეიძლება მშვიდად და წყნარად ჩავატაროთ არჩევნები და საზოგადოება უკვე თავად გააკეთებს დასკვნებს, ვის უჭერს მხარს და ვის არა,"- აღნიშნა გაბაშვილმა.

"ახალი მემარჯვენეების" შეფასებით, შსს-ს მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერები კიდევ უფრო აბნევს საზოგადოებას.

"კომპრომატების ომი, რომელიც გააჩაღა ორმა პოლიტიკურმა ძალამ ნამდვილად არ არის ის, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ვფიქრობ, რომ საგანგებოდ არჩევნებისთვის ამ კომპრომატების შემონახვა სწორი არ არის," - ასეთი შეფასება გააკეთა მანანა ნაჭყებიამ.

"ქრისტიან-დემოკრატების" შეფასებით, კომპრომატების ომმა ყველას გააგებინა თუ რა არის მათი არჩევანი. მათი განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობისა" და კოალიცია "ქართული ოცნების" კომპრომატების ომი ბევრ ადამიანში იმედგაცრუებას გამოიწვევს.

"არსებობს გზა, რომელსაც ჰქვია "ქრისტიან-დემოკრატიული" იდეოლოგია. გზა, რომელიც ყველა ქართველისთვის, ყველა ქართველის ცხოვრების წესისთვის არის ყველაზე მეტად მისაღები.

საარჩევნო კამპანიამ და მით უმეტეს, ამ კომპრომატების ომმა ყველას დაგვანახა და კარგად გაგვაგებინა, რას არ უნდა მივცეთ ხმა. ჩვენ ხმა არ უნდა მივცეთ უზნეობას, უსამართლობას. ქვეყანაში უნდა მოვიდნენ ქვეყნის გამაერთიანებლები, ისინი ვინც ქართველ ერს ერთმანეთთან არ დააპირისპირებს.

"ქრისტიან დემოკრატები" მის მხარდამჭერებთან ერთად ფიქრობენ იმაზე, როგორ შეიტანონ წვლილი ერთიანი საქართველოს მშენებლობაში," - აცხადებს გიორგი თარგამაძე.

პოლიციელთა და საჯარო მოხელეთა "მოსყიდვის საქმე"

პირველი გვერდიდან

იმის გამო, რომ ერთ-ერთი მოსყიდვის საქმეში ფიგურირებს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ალეკო ტაბატაძე, შინაგან საქმეთა სამინისტრო მასთან დაკავშირებულ მასალას შემდგომი რეაგირებისთვის გადასცემს საქართველოს მთავარ პროკურატურას," - განაცხადა დეტექტივმა ლევან წიკლაურმა, რომელსაც არ დაუკონკრეტებია იმ საჯარო მოხელეთა და პოლიციელთა ვინაობა, რომელთა მოსყიდვასაც "ქართული ოცნება" გეგმავდა.

"პოლიციელების მოსყიდვის საქმეში მოხსენიებული ალეკო ტაბატაძე ერთ-ერთი ყველაზე დიდი "ნარკობარიგა" იყო," - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, "ვარდების რევოლუციამდე" ტაბატაძე "ნამდვილი ჯალათის", თბილისის პოლიციის უფროსის სოსო ალავიძის მარჯვენა ხელი იყო.

"არ შეიძლება თბილისელებს ის არ ახსოვდეთ. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნარკობარიგა, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა თბილისში ნარკოტიკებს. ამისთანა ხალხის შედეგად მაშინდელ საქართველოში მთელი თაობა ნემსზე შეჯდა," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

შს მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილის ინფორმაციით კი, აღნიშნულ ფაქტებში მონაწილეობს ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილი, რომელიც ჯერჯერობით დაკავებული არ არის. შსს-მ გუშინვე ფარული ჩანაწერები გაავრცელა, რომელიც შსს-ს განცხადებით, პოლიციელების, საჯარო მოხელეების მოსყიდვისა და მოსყიდვის მცდელობის ფაქტებს ადასტურებს. გთავაზობთ, შსს-ს მიერ გავრცელებულ ჩანაწერებს, რომელშიც არ არის მითითებული მოსაუბრეთა ვინაობა (სტილი შენარჩუნებულია-რედ.).

ჩანაწერი 1

- როდის უნდა გააკეთო იცი? დაახლოებით ოთხი დღით ადრე. სამი დღით ადრე არჩევნებამდე.

- და რას ვაკეთებ?

- პიარით გინდა გავაკეთოთ ეს მომენტი?

- ეს ტელევიზიაში უნდა განვაცხადით, რომ...

- პიარით?

- რა თქმა უნდა. მე ამას ყველაფერს ბიძაჩემს შევეკითხები. დავურეკავ ბიძაჩემს...

ინფორმაციული ხაზი მინდა, როგორ აპიარებენ ესენი რამეს, თორემ დანარჩენი პიარი...

- ყველაფერი გაინტერესებს?

- მაინტერესებს...

- თანხა?

- თანხას ყველაფერს მოგცემთ, თანხა იქნება.

- შესაბამისი უნდა იყოს...

- რა თქმა უნდა, მე დაველაპარაკები დღეს... ვიცე-პრეზიდენტს დაველაპარაკები ბიძინასას... ვეტყვი ესე, მოვიდა პიროვნება, ესე, ესე... რას აპირებენ ესენი საერთოდ... მე ამის თანხას მოგცემ... მაქსიმალური რამდენი გინდა, ჩვენ მაინც რომ ვიცოდეთ...

- არ ვიცი, თქვენ რამდენს იძლევით გააჩნია... შენ გადაწყვიტე, შენ დაელაპარაკე ჯერ იქ, აწონ-დაწონე და შენ თვითონ გადაწყვიტე.

- მე ამას ეხლა... აქედან წასული უკვე დავრეკავ...

ჩანაწერი 2

- "დვიჟენიას" რაცა ხდება იქა, დეტალებში... ნაციონალების ოფისში რაცა ხდება დეტალურად გადაგიღებთ ყველაფერსა... 7 ათასი ლარი რა არის... დაურეკე შენს უფროსს მოახსენე...

- მომისმინე ძმაო, აქ არის 7 500 ლარი, მე და შენ რაც ვილაპარაკეთ წინაზე, ნახევარი თანხაა ძმაო... ჩემებს რა აწყობთ, 29-ში გვაქვს დიდი აქცია დანიშნული, გინდა შენ, გინდა ის, გინდა ორივე ერთად, რომ მოხვიდეთ აქციაზე გამოხვიდეთ და თქვათ, პროტესტის ნიშნად ვტოვებ პოლიციის რიგებს, რომ მქონდა უკანონო დავალება, "ქართული ოცნების" წევრებისთვის დედა მომეტ... მეცემა, ზეწოლა მომეხდინა და ეგეთი რაღაცეები რა...

- ვიტყვი...

- იტყვი თუ არა, ჯიბეში მედება და დანარჩენ 7 500 ლარს ეგრევე მოგცემ, გიდებ ჯიბეში. აი, შენ რაც მთხოვე, ეს არის ახალი ტელეფონი, კამერით, ხარისხიანი... აი, ჩემი შეფისგან რაც მომცეს დავალება, რომ ჩაგვიწერო, პოლიციაში დაკავებულის ცემა, ზეწოლა, თუ ეგეთი არავინ გამოჩნდება, ჩვენ აქტივისტს მოგცემთ, ოღონდაც ისე არ ქნათ რომ ცემაში მოკლათ, შენ იცი როგორ უნდა მოაგვარო რა, პრობლემა არ არის სცემეთ... ეს კადრი მომიტანეთ და აი, ძმაო რა, ამაში, ამ საქმეში 50 ათასს მოგცემთ. მეორე, ?ქვენ სამხედროები ხართ და ყველგან ხელი მიგიწვდებათ, ხალხი გყავთ, თუნდაც ჯარში, ოფიცერი "პრო?ზ?ვნიკს" რომ სცემდეს - მაგ საქმეა, ძმაო 50 ათას დოლარიანი... მომისმინე ახლა, მესამე თემაა, არ ვიცი ამაზე ხელი როგორ მიგიწვდებათ, შეიძლება გყავდეთ კაცი, მოსამართლე რომ კამერით დააფიქსიროს, რომ თქვას სიტყვები, მე პროკურატურიდან ზეწოლა მქონდა და გამომქონდა უკანონო განაჩენი, ეს საქმეა 100 ათასდოლარიანი, მოსამართლეს ცალკე მივცემთ.

- უთხარი, რომ შენს შეფსა, რომ ჩვენ ისეთ ჭკუაზე ვარ, დედას მოუ?ყ...

- აგერ 50 ათასდოლარიანი საქმეა გააკეთებთ და ჩემს შეფს შეგახვედრებ ალეკო ტაბატაძესა...

ჩანაწერი 3

- ჩვენ ვსაუბრობთ უსერიოზულეს თემაზე, მე მირჩევნია ესე ძმაო, ესეთი რაღაცა მაქვს გეგმაში. მაგალითად, ავიღო პასტა და ფურცელი, არ მინდა კონკრეტული სახელები იქნება თუ რაღაცა იქნება. მე თვითონ ჩემი ხელით ჩამოვწერო ის დარღვევები, ის კონკრეტული საქმეები, რომელზეც შენ ისაუბრებ და რომელსაც შენ გაახმოვანებ და ჩავიტან ამას ძმაო. არ არის დოკუმენტაცია, მაგრამ კაცი გამოვა და აი, ამას ილაპარაკებს...

- ყველაფერი რომ მოყომარდება შენი ამბავი, შენ თუ გინდა დატოვებ ქვეყანას, დროებით წახვალ სადმე ძმაო და სამშვიდობოს რომ იქნები მერე გაჟღერდება ეს საქმე...

- ეს რომ გავაკეთო, მე ეს განცხადება უნდა ჩავიწერო ხო

- ბრიფინგის მომენტიც შეიძლება ჩატარდეს გამგე? დღეს თუ უყურე შენ, რომ გამოვიდა თამამშრომელი და ყ... მკიდიაო, გადავედი ძმაო იმიტომ, რომ ეს რა ვნახე სიბინძურეები ვნახეო და აქეთ ვარ მაგის დედაც მო...

- ჯობია, შენ ღამით ჩამოხვიდე თბილისში, ჩავწეროთ, რომელსაც დაესწრებიან, ის პასუხისმგებელი პირიც დაესწრება, იქვე ნახავს ყველაფერს და შენ გამოგიშვებს უკან ფულით რა...

- ისე გამოვა, რომ შენ მოსანანიებელი კი არ გქონდეს სამსახურებრივ ვარიანტში, პირიქით, შენ გამოჩნდე პატრიოტი...

- როცა ახსენებ "ბიჭს" მე ჩავთვალი რომ ეს თანხა 100 000 ათასი გიდევს შენ ჯიბეში... კარგი ძმაო, მაშინ შენს ზარს დაველოდები მე...

ჩანაწერი 4

- ყველაფერი რა "ვაფშე" რა "კაროჩე" რა, რაც არის მაკომპრომეტირებელი მასალები არის და "ვაფშე" ყველაფერი რა...

- რა იგულისხმება მაგაში?

- ამათ რასაც "გამოდებს" რა, ზოგი გადაღებული, ზოგი "იმენნა" ფურცელზე დაწერილი, ყველაფერი რაც შეიძლება დაიდოს! ეს კაცი, პირდაპირ გეუბნები, "იმენნა" მინისტრია!

- მერე ხომ იქნება ყველაფერი კარგად?

- "ბაზარი" არ არის! მერე "იმენნა" პირველი კაცია ძმაო რა!

- სახელი და გვარი მითხარი...

- გელა ხვედელიძეა ძმაო. ისეთ "პონტში" რაღაც რომ მოხდეს, აქ არ დაგვედგომება, ჰოპლას დაგვიძახებენ ეგრევე... ამიტომაც, თადარიგს ვიჭერთ...

- შეგვიძლია გალში გადავიდეთ პირდაპირ ეგრევე, პრობლემა არ არის, კაცი მოვა და წაგვიყვანს...

ჩანაწერი 4

- ყველაფერი რა "ვაფშე" რა "კაროჩე" რა, რაც არის მაკომპრომეტირებელი მასალები არის და "ვაფშე" ყველაფერი რა...

- რა იგულისხმება მაგაში?

- ამათ რასაც "გამოდებს" რა, ზოგი გადაღებული, ზოგი "იმენნა" ფურცელზე დაწერილი, ყველაფერი რაც შეიძლება დაიდოს! ეს კაცი, პირდაპირ გეუბნები, "იმენნა" მინისტრია!

- მერე ხომ იქნება ყველაფერი კარგად?

- "ბაზარი" არ არის! მერე "იმენნა" პირველი კაცია ძმაო რა!

- სახელი და გვარი მითხარი...

- გელა ხვედელიძეა ძმაო. ისეთ "პონტში" რაღაც რომ მოხდეს, აქ არ დაგვედგომება, ჰოპლას დაგვიძახებენ ეგრევე... ამიტომაც, თადარიგს ვიჭერთ...

- შეგვიძლია გალში გადავიდეთ პირდაპირ ეგრევე, პრობლემა არ არის, კაცი მოვა და წაგვიყვანს...

საპატიმროებში 24-საათიანი მონიტორინგი გრძელდება

"სასჯელაღსრულების დაწესებულებებს საპატრულო პოლიცია სრულად დატოვებს," *- ასეთი გადაწყვეტილება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ მიიღო.*

სამინისტროს ინფორმაციით, საჯელაღსრულების დაწესებულებებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა სრულად აკონტროლებს.

"საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად გადიან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. სრულად კი დაწესებულებებს პატრული დატოვებს, მათ შორის პოლიციის თანამშრომლები გლდანის N8 დაწესებულებიდანაც გავლენ", - განაცხადეს სამინისტროში.

სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა კი, ქსნის N15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საგანგებო მონიტორინგი განახორციელა. ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დაწესებულების ყველა ნაწილში განთავსებულ მსჯავრდებულებს.

ქსნის დაწესებულების "ძველ ზონაში" განთავსებულმა მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის სახელზე დაწერეს კოლექტიური ახსნა-განმარტება, რომელსაც ხელს აწერს 526 მსჯავრდებული და რომელიც შეეხება მსჯავრდებულთა მიმართ ქსნის N15 დაწესებულების ადმინისტრაციის და თანამშრომლების მხრიდან წარსულში განხორციელებულ არასათანადო, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ახსნა-განმარტებაში ნათქვამია, რომ მათ მიმართ რეგულარულად ხორციელდებოდა არასათანადო მოპყრობა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათ სჯიდნენ ნებისმიერი წვრილმანისთვის, ხშირად უმიზეზოდაც. დასჯის მიზნით სამარტოო საკანში გადაყვანის წინ მსჯავრდებული გადაჰყავდათ ადმინისტრაციის შენობაში არსებულ სავარჯიშო ოთახში, სადაც სცემდნენ, აბამდნენ ხელბორკილებით გათბობის მილზე, ზოგჯერ იყენებდნენ ელექტროშოკს, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით. დაწესებულებაში ახლად მიღებული მსჯავრდებულების საკნებში განაწილებამდე მათ ათავსებდნენ აბანოში, სადაც ისინი რამდენიმე დღეს ატარებდნენ.

ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულების ყოველდღიური ყოფა ქსნის დაწესებულებაში უმძიმესი იყო. მსჯავრდებულების განცხადებით, მათ ცემაში და სხვა სახის არასათანადო მოპყრობაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი თანამშრომლები: დირექტორი შოთა თოლორდავა, დირექტორის მოადგილე ბაჩო რუხაია, გიორგი ფარჯანაძე, მამუკა შალამბერიძე, ლევან ლეჟავა, დიმა ჩხეიძე, ნუკრი კოპალიანი, ვინმე ამბროსი, რაჯი, აკაკი კირკიტაძე, აკაკი მეტსახელად "ჩეპე", სანდრო, ვიტალი მეტსახელად "ადამიჩი", რომანი, ჯამბულ ბაირამოვი, ილო, თამაზი მეტსახელად "ჩელენტანო", ფარნა, ძმები ბადრი და ნუკრი. მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ ეს სია არაა ამომწურავი, რადგანაც, მათ წამებაში მონაწილე სხვა თანამშრომლების სახელები არ იციან, თუმცა სახეზე ცნობენ. მსჯავრდებულები მზად არიან დეტალური ჩვენება მისცენ გამოძიებას.

პრევენციულმა ჯგუფმა პატიმართა ახსნა-განმარტება რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას გადასცა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა განცხადებით, აგვისტოს თვეში ქსნის საპატიმროს მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს გადასცეს კოლექტიური ახსნა-განმარტება, რომელსაც ხელს აწერდა 700-ზე მეტი მსჯავრდებული და რომელშიც ისინი მათ მიმართ განხორციელებული ფიზიკური და სხვა სახის ზეწოლის ფაქტებზე საუბრობდნენ და ასახელებდნენ იმავე თანამშრომლებს. თუმცა, როგორც მონიტორინგის ჯგუფი აცხადებს, პროკურატურას მამ ფაქტზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. იმავე დაწესებულების 161 მსჯავრდებულის კოლექტიურ საჩივარი, სახალხო დამცველმა 2010 წელსაც გადასცა საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუმცა, არც მას მოჰყოლია შედეგი.

სახალხო დამცველის აპარატი მიმართავს მთავარ პროკურორს, მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად გამოიძიოს ქსნის N15 დაწესებულების მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ყველა აღნიშნული ფაქტი.

სახალხო დამცველის აპარატი უკანასკნელ დღეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

ომბუდსმენის აპარატიის ინფორმაციით, ამ დღეების განმავლობაში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა არაერთხელ მოინახულეს გლდანის N8, ქუთაისის N2, ბათუმის N3, ზუგდიდის N4, გეგუთის N14, რუსთავის N17, რუსთავის N16, ქსნის N15, რუსთავის N6, ქალთა N5, თბილისის N1 დაწესებულებები.

ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, რომ ყველა ჩამოთვლილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრები ინარჩუნებენ სიმშვიდეს და რაიმე ინციდენტს ადმინისტრაციასთან ან ერთმანეთში ადგილი არ ჰქონია.

"ყველა დაწესებულებაში ვითარება ამ დროისთვის არის ნორმალური, ექვემდებარება კონტროლს და დაწესებულებები ფუნქციონირებს ჩვეულ რეჟიმში. რაიმე სახის დამატებით შეზღუდვას და აკრძალვას უკანასკნელ დღეებში სასჯელაღსრულების არც ერთ დაწესებულებაში ადგილი არ ჰქონია. N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის და მათი ოჯახებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უკანასკნელ დღეებში 24-საათიანი რეჟიმით მიმდინარეობს პაემნები ოჯახის წევრებთან. ასევე, პატიმართა დიდ ნაწილს ჰქონდა საშუალება ტელეფონით დაკავშრებოდა ოჯახებს და შეეტყობინებინა თავისი მდგომარეობა. სახალხო დამცველის აპარატი საგანგებო მონიტორინგს შეუჩერებლად განაგრძობს," - ომბუდსმენის მონიტორინგის ჯგუფის გაცხადებაში.

ნიშნით "ქართული"

"გაყიდვების მართვის კომპანიამ" ქართული პროდუქტების პოპულარიზაცია დაიწყო

ნინო ნარჩემაშვილი

"გაყიდვების მართვის კომპანია" მცირე კომპანიებს, რომლებიც ადგილობრივი წარმოებით არიან დაკავებული, გაყიდვების სექტორში კონსალტინგს უწევს.

კომპანიაში აცხადებენ, რომ "კომპანია ბოლო ექვსი თვის განმავლობაში განსაკუთრებით აქტიურად რეგიონებში მუშაობდა და სხვადასხვა პროდუქტების მწარმოებლებს ეცნობოდა. მათგან შერჩეული იქნა რამდენიმე, რომელიც კომპანიის დახმარებით თანამედროვე დიზაინით შეიფუთება და თბილისის სავაჭრო ქსელებში გამოჩნდება". ამ მიზნით კომპანიის მიერ შეიქმნა ნიშანი "ქართული", რომელიც სხვადასხვა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის შეფუთვაზე იქნება დატანილი.

დღეისათვის "ქართული" ნიშნით პროდუქცია უკვე ქსელშია. აჭარაში, მაჭახელას ხეობაში წარმოებული თაფლი "მაჭახელას დათუნია" მომხმარებელს უკვე "ბიგ ბენსა" და "გუდვილის" სავაჭრო ობიექტებში ელის. ქსელში ორი სახეობის თაფლია წარმოდგენილი - აკაციისა და წაბლის.

"ქართული" ნიშნით სავაჭრო ქსელებში კიდევ ერთი ადგილობრივი პროდუქტი, აჭარაში წარმოებული ელიტარული ჩაი გამოჩნდება. მწვანე ჩაი "ბათუმი" და შავი ჩაი "ელიტა", ელიტარულ სასაჩუქრე შეფუთვაში. ჩაი ჯერჯერობით მხოლოდ "ბიგ ბენშია" წარმოდგენილი, ასევე სასტუმრო "კოპალაში".

"მოლაპარაკებები მიმდინარეობს როგორც სავაჭრო ქსელებთან, ასევე სასტუმროებთან, რათა პროდუქტების შეტანა მოხდეს. კომპანიის მიერ ასევე შეიქმნა სავაჭრო ნიშანი "ქართული", რომელიც "გაყიდვების მართვის კომპანიის" მიერ შერჩეულ პროდუქტებზე დაიტანება და მოხდება ქართული პროდუქტების პოპულარიზაცია სლოგანით - "აირჩიეთ ქართული", - აცხადებენ კომპანიაში.

გაყიდვების მართვის კომპანიის პროექტის მენეჯერის გოგა სამუშიას თქმით, რეგიონებში მცირე მწარმოებლებს ძალიან საინტერესო და ხარისხიანი პროდუქცია აქვთ, თუმცა ბაზარზე მის პოზიციონირებასა და გაყიდვების მართვას ვერ ახერხებენ.

"გაყიდვების მართვის კომპანია" ასეთ მეწარმეებს მომხმარებლამდე მისვლის ყველა კომუნიკაციას დაუგეგმავს.

კომპანიის მენეჯერის გოგა სამუშიას განმარტებით, იმისთვის, რომ პროდუქციაზე დატანილი იქნას ნიშანი "ქართული", კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას - აუცილებლად უნდა იყოს ქართული წარმოების და იყოს ხარისხიანი, ნატურალური პროდუქტი.

კომპანიის მენეჯერის თქმით, ხარისხი კომპეტენტური ორგანოს მიერ გადამოწმდება.

"ნიშნის დატანა მოხდება როგორც უკვე არსებულ ბრენდებზე, ასევე, შესაძლებელია, შეიქმნას კონკრეტული პროდუქციის ცალკეული ხაზი. თანხას რაც შეეხება, კონსალტინგი, სარეკლამო კამპანია, პროდუქციის ექსპერტიზა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, ამ საკითხზე ყველა კომპანიასთან ინდივიდუალურად შევთანხმდებით, რადგან ეს ხარჯები კამპანიის მასშტაბზე და მისი წარმოების მოცულობაზე იქნება დამოკიდებული".

მნიშვნელოვანია, რა მარკეტინგულ უპირატესობას ანიჭებს კომპანიას ნიშანი "ქართული." "გაყიდვების მართვის კომპანიაში" აღნიშნავენ, რომ კომპანიისთვის ეს შეთავაზება არის დამატებითი გაყიდვები. ეს საკმაოდ რთული სფეროა და ბევრ კომპანიას უჭირს ან სურს მეტი გაყიდვები, ამიტომ ამ აქციით ხდება პროდუქციის პოპულარიზაცია, მომხმარებლის ინფორმირება სლოგანით - "აირჩიე ქართული", სხვადასხვა აქციებში, გამოფენებსა თუ ღონისძიებებში.

ახალი რეგულაცია საავიაციო ბაზარზე

საჰაერო ხომალდში ჩასხდომის, ფრენის გაუქმებისა და ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებმა შესაბამისი კომპენსაცია უნდა მიიღონ. რეგულაციის ახალი წესი, სამოქალაქო ავიაციის დირექტორის ბრძანებულებით, საქართველოში მოქმედი ავიაკომპანიებისათვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ახალი რეგულაციის მიხედვით, ფრენის დაგვიანებისას ავიაკომპანია ვალდებულია, მგზავრებს დახმარება აღმოუჩინოს, კერძოდ კი, კვებითა და ორი სატელეფონო ზარის განხორციელებით უზრუნველყოს იმ შემთხვევაში, თუ ფრენის დაგვიანება, ბილეთში მითითებულ ფრენასთან შედარებით, შედგენს: ორ საათზე მეტ დროს - 1500 კილომეტრამდე მანძილზე ფრენისას; სამ საათზე მეტ დროს - 1500-დან 3500 კილომეტრამდე მანძილზე ფრენისას; ოთხ საათზე მეტ დროს - 3500 კილომეტრზე მეტ მანძილზე ფრენისას. იმ შემთხვევაში, როდესაც ფრენის დრო, ბილეთში მითითებულ ფრენის დროსთან შედარებით, სულ მცირე, ერთი დღე-ღამით გადაიდება, ავიაკომპანია ვალდებულია, მგზავრი საცხოვრებელი ადგილითა და აეროპორტიდან საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობით უზრუნველყოს. ახალი რეგულაციების თანახმად, საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის ან ფრენის გაუქმებისათვის კომპენსაცია განისაზღვრა: 1 500-კილომეტრიან მანძილზე ფრენისას - 250 ევრო, 1500-3500 კილომეტრზე ფრენისას - 400 ევრო, 3 500 კილომეტრზე მეტ მანძილზე ფრენისას- 600 ევრო. აღსანიშნავია, რომ ავიაგადამზიდველს შეუძლია, მითითებული კომპენსაციის ოდენობა 50 პროცენტით იმ შემთხვევაში შეამციროს, თუ მგზავრს დანიშნულების ბოლო პუნქტამდე ალტერნატიული მარშრუტით ფრენას შესთავაზებს. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების სამსახურში განმარტავენ, რომ ავიაკომპანიები ფრენებს დაგეგმილ დროს არ ასრულებენ: იგვიანებენ ან ხდება რეისის მოულოდნელად დაგეგმვა. ამ დარღვევების გამო კომპანიებს საჯარიმო სანქციები დაუწესდებათ. "როცა გრაფიკი მკაცრად არის გაწერილი, ავიაკომპანიამ უნდა შეასრულოს ფრენები დათქმულ დროში. კომპანიას არ აქვს რეისის გადადების უფლება იმ მოტივით, რომ დაბალი დატვირთვაა. თავისი პრესტიჟიდან გამომდინარე, კომპანიამ ეს არ უნდა გააკეთოს. ამ დროს ირღვევა მომხმარებელთა უფლებები. არის შემთხვევები, როცა კომპანიის ავიალაინერი სხვა რეისის შესასრულებლად მიდის და ფრენის გადადება ამ მოტივით ხდება," - აცხადებენ სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების სამსახურში. ფრენების გადადება და გრაფიკის დარღვევა საქართველოს ავიაბაზარზე ახალი მოვლენა არ გახლავთ, თუმცა "ამ კუთხით შეფერხებები ყველაზე ხშირად შიდა რეისებზე ხდება. მაგრამ ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს," - ამბობენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

დღეისათვის საქართველოში ხუთი სამოქალაქო აეროპორტიდან მხოლოდ სამი ფუნქციონირებს. აქედან ორს - თბილისისა და ბათუმის აეროპორტებს საერთაშორისო სტატუსი აქვთ და ორივეს თურქული კომპანია შპს TAV URBAN GEORGIA მართავს. მესტიის აეროპორტი 2010 წელს გაიხსნა და შიდა რეისებს კანადური კომპანია Kenn Borek Air-ი ახორციელებს.

სოფო ჩიხლაძე

ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველომ 27-ე ადგილიდან 42-ზე გადაინაცვლა

ნინო ნარჩემაშვილი

"ფრეიზერის ინსტიტუტის" ყოველწლიური ანგარიშის "ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში 2012"-ის თანახმად, რომელიც 144 ქვეყანას შეეხება, საქართველომ 27-ე ადგილიდან 42-ზე გადაინაცვლა. თუ ორი-სამი წლის წინ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოს მხოლოდ ესტონეთი უსწრებდა, ახლა მის წინ, ბალტიის რესპუბლიკების გარდა, სომხეთიც აღმოჩნდა. რამ გამოიწვია საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუარესება?

აღსანიშნავია, რომ "ფრეიზერის ინსტიტუტის" კვლევა "ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში" ხუთ ძირითად კრიტერიუმს ეყრდნობა. ესენია: მთავრობის ზომა, რომელიც სამთავრობო ხარჯების მოცულობას ასახავს; საკუთრების უფლების დაცულობა და სასამართლო; ჯანსაღი ფულადი პოლიტიკა; საგარეო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტების, დასაქმებისა და ბიზნესის რეგულაციები. ეს ხუთი კრიტერიუმი 40-ზე მეტ ქვეპუნქტს აერთიანებს, რომელთა მიხედვით განისაზღვრება ეკონომიკური თავისუფლება მთელ მსოფლიოში.

თითქმის 40 წელია ამ რეიტინგის ლიდერია ჰონგ კონგი, შემდეგ მოდის სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ავსტრალია, კანადა და ასე შემდეგ.

წლევანდელ რეიტინგში საქართველოს მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა და მან 42-ე ადგილზე გადაინაცვლა. ამ საფრთხის შესახებ ბოლო წლებია საუბრობს გია ჯანდიერი, "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტი.

"სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ წლევანდელი მაჩვენებელი, რომელიც 2010 წლის მდგომარეობას ასახავს, გაუარესებულია, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. წინა წელს ჩვენ 27-ე ადგილას ვიყავით, იმის წინა წელს კი 23-ეზე. ნათლად ჩანს, რომ 2008 წლის შემდეგ საქართველოს მდგომარეობა უარესდება. 2009-2010 წლებში საქართველოს მთავრობის ხარჯები გაიზარდა - შიდა პროდუქტთან შედარებით, მან 40%-ს მიაღწია. ამ ყველაფერმა შექმნა ასეთი მდგომარეობა," - აღნიშნავს გია ჯანდიერი.

მისი განცხადებით, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლის გაუარესება ძირითადად სამთავრობო ხარჯების ზრდამ გამოიწვია. მაგრამ არის სხვა მიზეზიც. "ფრეიზერის ინსტიტუტის" კვლევის ზოგიერთი მაჩვენებელი ეყრდნობა "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს", რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვს.

რაც შეეხება სომხეთის დაწინაურებას, ამ შეფასების ობიექტურობას გია ჯანდიერი ეჭვქვეშ აყენებს და ინდექსის მეთოდოლოგიას აკრიტიკებს. მისი თქმით, "დაუჯერებელია, რომ სომხეთში ეს საკითხები უკეთ იყოს, ვიდრე საქართველოში, მაგრამ მათი კონკურენტუნარიანობის ინდექსი უკეთესია, საქართველოსთან შედარებით. იქაურ ბიზნესმენებს ჩაუტარეს გამოკითხვა და მათ უკეთესად შეაფასეს ბიზნესის პირობები სომხეთში, ვიდრე საქართველოში. ეს თუნდაც იმიტომ მიმაჩნია საეჭვოდ, რომ სომხური ინვესტიციები არსებობს საქართველოში და პირიქით არ არსებობს."

მიუხედავად ამ კრიტიკისა, გია ჯანდიერი აღნიშნავს, რომ ინდექსი "ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში" კარგი საინფორმაციო წყაროა ინვესტორებისთვის, რომლებიც ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების წინ ამ და სხვა რეიტინგების ტენდენციებს აკვირდებიან. შესაბამისად, ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენციები ახალისებს ინვესტორებს, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს. მისივე თქმით, საქართველოში საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, "იმის ნაცვლად, რომ ყველა პარტია შეეჯიბროს ერთმანეთს, როგორ უფრო მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას შექმნის, ისინი ეჯიბრებიან ერთმანეთს, თუ რომელი უფრო მეტად დათრგუნავს ბიზნესს სხვადასხვა რეგულირებებით, ანტიმონოპოლიური იქნება ეს თუ შრომის კანონმდებლობის რეგულირებებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის განვითარება არ წავა იმ ტემპებით, როგორც ჩვენ გვსურს. დასაქმებაც არ გვექნება, თუ ინვესტიციები არ გვექნა".

გენმოდიფიცირებული საკვები სიმსივნეს იწვევს?

სალომე ჯანიაშვილი

მსოფლიოს დიდი სკანდალი ემუქრება სურსათის უვნებლობის სფეროში. დასავლურმა მედიამ ოთხშაბათს გაავრცელა ინფორმაცია, რომ ცნობილი გახდა პირველი შედეგები ვირთხებზე საიდუმლო კვლევების შესახებ, რომელთაც უკვე ორი წელია, რაც გენმოდიფიცირებული სიმინდით კვებავენ. ვირთხები "მონსანტოს" ფირმის ამერიკული გენმოდიფიცირებული სიმინდით იკვებებოდნენ. ცხოველებს დაახლოებით პინგ-პონგის ბურთის ზომის კიბოს სიმსივნეები აღმოუჩინეს.

ევროკომისიამ თავის დროზე ამერიკული გენმოდიფიცირებული სიმინდის ევროპაში შემოტანის და გავრცელების ნებართვა გასცა. ეს ამგვარად ახსნეს: არავითარი სამეცნიერო მტკიცებულება არ არსებობდა იმის სათქმელად, რომ პროდუქცია უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

"მსოფლიოში პირველად გენმოდიფიცირებული საკვები და მისი მოყვანისთვის გამოყენებული პესტიციდები შეფასდა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გავლენას ახდენს ის ჯანმრთელობაზე გრძელვადიან პერიოდში და უფრო სრულად, ვიდრე ეს ხდებოდა ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მწარმოებლების მხრიდან. და აი, საგანგაშო შედეგებიც..." - განაცხადა საფრანგეთის ქალაქ კაენის უნივერსიტეტის პროფესორმა და პროექტის მენეჯერმა ჟილ ერიკ სერალინიმ.

თავის მხრივ, განცხადება გააკეთა ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფრედერიკ ვენსანმა. "ასეთი კვლევის ჩატარების შესახებ მედიის საშუალებით შევიტყვეთ. გავეცანით თუ არა ჩვენ მას? არა. გავეცნობით თუ არა? დიახ. ევროკომისიამ უკვე სთხოვა ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს დაკავდეს ამ კვლევით, რომლის შედეგებიც მას გადაეცემა," - განაცხადა მან. ვენსანმა განმარტა, რომ ნებისმიერ მოდიფიცირებულ პროდუქტს, სანამ ის ევროკავშირის ბაზარზე გაიყიდება, სამი თვის განმავლობაში იკვლევენ და მას გაყიდვაში მხოლოდ ამის შემდგომ უშვებენ.

ჟურნალისტებმა კი ვენსანს შეახსენეს, რომ ცდები ვირთხებზე უკვე ორი წელია გრძელდება. მთელი ამ დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ 200 ვირთხას, რომლებიც სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველ



ჯგუფს კვებავდნენ მხოლოდ გენმოდიფიცირებული სიმინდით, მეორეს - გენმოდიფიცირებული სიმინდით, რომელიც ასევე დამუშავებული იყო მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ჰერბიციდით "Roundup"-ით, ხოლო მესამე ჯგუფს - ჩვეულებრივი სიმინდით, რომელიც ასევე დამუშავებული იყო ჰერბიციდით. კვლევამ აჩვენა, რომ სიკვდილიანობის ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენელელი იყო იმ ცხოველებში, რომლებიც გენმოდიფიცირებულ და პესტიციდებიანი სიმინდით იკვებებოდნენ, ვიდრე მესამე ჯგუფში, რომელსაც ჩვეულებრივი სიმინდით კვებავდნენ.

გამოკვლების პრეზენტაცია გაიმართება საფრანგეთში 26 სექტემბერს, სადაც ასევე აჩვენებენ ფილმს "ჩვენ ყველანი საცდელი ეგზემპლიარები ვართ."

"დანაშაული ის არის, რომ ასეთ კვლევებს ადრე არ ატარებდნენ, რომ სანიტარული ორგანოები არ მოითხოვდნენ უფრო გრძელვადიან ცდებს და აი, უკვე 15 წელია მთელ მსოფლიოში იყიდება გენმოდიფიცირებული საკვები," - განმარტა სერალინიმ.

პირველი გამოხმაურება ამ ყველაფერს საფრანგეთიდან მოჰყვა. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი სტეფან ლე ფოლი მიიჩნევს, რომ ევროკავშირში გენმოდიფიცირებულ პროდუქტებზე კონტროლი, უფრო უნდა გამკაცრდეს.

გენმოდიფიცირებული პროდუქტების ცნობილმა მოწინააღმდეგემ, ევროდეპუტატმა "მწვანეებიდან" ჟოზე ბოვემ კი მოითხოვა, რომ ბრიუსელმა "დაუყოვნებლივ აკრძალოს ასეთი კულტურების გამოყენება" ევროპაში.

თუ ეს შედეგები სხვა ანალოგიური გამოკვლევებითაც დადასტურდება, მაშინ მსოფლიო უახლოეს წლებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. წელს ისედაც დაბალ მოსავლიანობაა ყველგან და გაერო სასურსათო კრიზისის მოლოდინშია. თუ ამას დაემატა ყველაზე მასობრივად წარმოებული პროდუქტების აკრძალვა, მაშინ საკვების ნაკლებობა უფრო თვალსაჩინო გახდება და ფასებიც გაიზრდება.

ბიზნესი

"სამეულის" გათვლებით, საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტი გაორმაგდა

თინა შავაძე

საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტი მოსალოდნელზე ორჯერ მასშტაბური აღმოჩნდა. ამის მისუხედავად, საფრანგეთი გახდა პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ზუსტად შეაფასა საბერძნეთში არსებული მდგომარეობა: ქვეყანას მეტი დრო უნდა მიეცეს, რათა ნაკისრი ვალდებულებები, 174 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარების პაკეტის შესაბამისობაში მოიყვანოს, - წერს The Financial Times.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან მარკ ერომ განაცხადა, რომ საბერძნეთის ევროზონიდან გასვლა უმართავ პროცესს გამოიწვევს და "შეიძლება, ევროპული პროექტის დასასრულის დასაწყისი გახდეს".

"საბერძნეთს მეტი დრო რეფორმების, განსაკუთრებით საგადასახადო რეფორმის გასატარებლად სჭირდება. ვფიქრობ, ამ ქვეყნის მიმართ გერმანიის ლიდერთა მიერ რეალობის შეგრძნების დაკარგვა სრულიად უკონტროლო სიტუაციამდე მიგვიყვანს," - განაცხადა პოლიტიკოსმა.

საფრანგეთის მთავრობის განცხადებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა კრისტინ ლაგარდმა მხარი დაუჭირა. გასულ კვირას მან აღნიშნა, რომ საბერძნეთისთვის საკუთარი ვალდებულებების შესრულების განაჩენის ორი წლით გადავადების იდეა კარგი ვარიანტია ევროპელებისთვის. თუმცა, გერმანია ლაგარდს არ ეთანხმება.

ევროპის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ საეჭვოა, საბერძნეთმა ნოემბრის შუა რიცხვებში 31.5 მილიარდი ევროს ოდენობის ახალი ტრანში მიიღოს.

საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტი იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე ვარაუდობდნენ. ამის შესახებ გერმანული Spiegel-ი საერთაშორისო კრედიტორების "სამეულის" ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მოხსენებაზე დაყრდნობით იუწყება.

გაზეთის მონაცემებით, დეფიციტი 20 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც თითქმის ორჯერ აღემატება პრემიერ-მინისტრ ანტონის სამარასის მიერ დასახელებულ ციფრს. ათენი ფინანსური დახმარების მორიგი ტრანშის მიღებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი აღნიშნულ დეფიციტს შეამცირებს.

"სამეულის" წარმომადგენლები ამჟამად საბერძნეთის მთავრობასთან აუცილებელი საბიუჯეტო ეკონომიის საკითხებს განიხილავენ, რაც კრედიტორებს საშუალებას მისცემს, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი 31,5 მილიარდი ევრო გამოყონ იმ 130 მილიარდიდან, რომლის მიღების პირობაც ათენს მიმდინარე წლის მარტში მისცეს.

სამარასის წინადადება გულისხმობს უახლოესი 2 წლის განმავლობაში ხელფასებისა და პენსიების შემცირებას 11,5 მილიარდი ევროთი. 22 სექტემბერს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საბერძნეთის მოქალაქეების 90 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეკონომიის ზომები დარტყმას, ძირითადად, მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს მიაყენებს და მხოლოდ 33 პროცენტს სჯერა, რომ პრობლემები მოგვარდება.

APPLE-ის ახალ სმარტფონს ტექნიკური წუნი აღმოუჩინეს

თინა შავაძე

Apple-მა iPhone 5-ის საცალო გაყიდვებ, პირველად გასულ კვრის ბოლოს ავსტრალიაში, იაპონიასა და ჰონკონგში დაიწყო. მომახმარებელი ამ მოვლენას დიდი აჟიოტაჟითა და პომპეზური პრეზენტაციებით შეხვდა. თუმცა უცოხური მედია წერს იმის შესახებ, რომ Apple-ის ახალ სმარტფონს ტექნიკური წუნი აღმოუჩნდა და ათასობით საჩივარი უკვე დაიწერა.

Apple-მა იშვიათი, სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. კორპორაციამ Google Maps-ის ნაცვლად, iPhone 5-ში საკუთარი წარმოების ახალ ოპერაციული სისტემა iOS6-ის ბარათი დაამონტაჟა, რომელმაც მომხმარებელთა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, - წერს The Wall Street Journal.

მომხმარებელები, რომლებმაც ახალი OS ძველ მოწყობილობაზე დაამონტაჟეს, მძაფრ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. საქმე ის არის, რომ Google Maps წინასწარ დაინსტალირებულია Apple-ის სმარტფონებისთვის იმ მომენტიდან, როდესაც 2007 წელს პირველი მოწყობილობა გამოუშვეს.

მომხმარებლები ვერ პოულობენ მათთვის საჭირო გზებს, კომპანიებს, ადგილებს. მაგალითად, ნავიგატორმა ვერ დაადგინა ისეთი ცნობილი, ხელმისაწვდომი ადგილი, როგორიცაა ოქროს ჭიშკარი ხიდზე სან-ფრანცისკოში. Facebook-ი და Twitter-ი წალეკა მცდარმა სურათებმა, რომლებიც ბარათის სისტემამ დაუშვა. სპეციალური ბლოგიც კი შეიქმნა სარკასტული სათაურით "iOS6-ის დიდი განყოფილებიდან".

"ბი-ბი-სი"-ის ინფორმაციით, ივნისში Apple-მა გამოაცხადა, რომ მან შეწყვიტა Google Maps-ის მომსახურების გამოყენება საკუთარი პროგრამის სასარგებლოდ, რომელიც კომპანია TomTom-ის მონაცემებს ეყრდნობა და სპეციალიზებულია სატელიტური ნავიგაციით.

ახალი სანავიგაციო პროგრამის ოპერაციული სისტემა iOS6-ის ფარგლებში გამოჩნდა, რომელიც ახალ სმარტფონ iPhone 5-სთვის და ასევე Apple-ის პლანშეტებისთვის დამონტაჟდა.

პარალელურად, კომპანიამ თავისი ვირტუალური მაღაზიიდან ამოიღო Google Maps-ის წინა ვერსია და მომხმარებლებს აღარ შეუძლიათ, ის ახალი გაჯეტებში ჩატვირთონ.

"ბი-ბი-სი"-მ Apple-ის ახალი ბარათის შესახებ მომხმარებლისგან მრავალი საჩივარი მიიღო. კერძოდ, ზოგიერთ ქალაქი ბარათზე საერთოდ არ არსებობს - მაგალითად, შექსპირის სამშობლო- STRATFORD-upon-Avon. სხვები განთავსებულია არასწორად. ზოგიერთი ობიექტის სატელიტური ფოტო, განსაკუთრებით შოტლანდიაში, დაფარულია ღრუბლებით.

TomTom-ში აცხადებენ, რომ მცდარ მონაცემებზე პასუხისმგებლობას არ იღებენ, რადგანც მათ ბარათზე მხოლოდ საწყისი გეოგრაფიული წერტილები განათავსეს.

ცნობისათვის - 12 სექტემბერს სან-ფრანცისკოში გამართულ პრეზენტაციაზე iPhone 5-ი Apple-ის მარკეტინგის დირექტორმა ფილიპ სკილამ წარადგინა. iPhone 5-ის კორპუსი შედგება მინისა და ალუმინისგან და 18 პროცენტით უფრო თხელია, ვიდრე მისი წინამორბედი, - წერს New York Times.

ახალი სმარტფონის სისქე 7.8 მმ-ია, წონა - 112 გრამი. iPhone 5-ის დისპლეი უფრო დიდია - 4 დიუმი დიაგონალურად და უზრუნველყოფს 44 პროცენტით მეტად გაჯერებულ ფერებს.

iPhone 5-ს LTE-ს უკაბელო ქსელისა და Wi-Fi 5GHz 802.11n-ის მხარდაჭერა აქვს. შეუძლია, მონაცემები 150 მეგაბიტი სიჩქარით გადასცეს.

ახალ სმარტფონს აქვს Full HD ვიდეოჩამწერი 1080p ფორმატით. ვიდეოს ჩაწერის დროს შესაძლებელია ფოტოების გადაღება. სმარტფონი აწყობილია პროცესორ Apple A6-ით და ოპერაციული სისტემა iPhone 5 - iOS 6-ით.

ერთპარტიული "არჩევნები" ბელარუსში

პირველი გვერდიდან

არც ერთი რეგიონიდან ამის შესახებ არავის უცნობებია," - განაცხადა ეროშინამ მინსკში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნები ჩატარებულად გამოაცხადა ხმის მიცემის დასრულებამდე ექვსი საათით ადრე. ადგილობრივი დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ აქტივობა ბევრ საარჩევნო ოლქში გაბერილი იყო, ხოლო დედაქალაქში, რეალურთან შედარებით, გაორმაგებული.

არარეგისტრირებული "ბელარუსის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა" და კამპანია "სამართლიანი არჩევნების" საიტი, რომელმაც გამოაქვეყნა ამომრჩეველთა აქტივობის ალტერნატიული ციფრები და დარღვევის ფაქტები ხმის მიცემის დროს, საარჩევნო ოლქების დახურვამდე ერთი საათით ადრე დაბლოკეს. მთელი დღის განმავლობაში ასევე დაბლოკილი იყო გაერთიანებული დემოკრატიული ძალების, მოძრაობა "თავისუფლებისთვის" საიტები და ასევე in-by.net. დამოუკიდებელი დამკვირვებლების ინფორმაციით, ამომრჩეველთა აქტივობა საკმაოდ დაბალი იყო ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით კი, ბელარუსის დედაქალაქში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლიდია ერმოშინამ ყევლას მოუწოდა, დაბალი აქტივობის გამო ტრაგედია არ შექმნან. მისი განცხადებით, ბელარუსში ყოველთვის დაბალი აქტივობაა საპარლამენტი არჩევნებზე, განსაკუთრებით, ქალაქ მინსკში არასდროს ყოფილა ის მაღალი. მისი აზრით, კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანია არასაკმარისად აქტიური იყო, ამას გარდა, ორი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანიიდან გასვლამ, რომლებიც ყველას ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ, არჩევნებზე ამომრჩეველის დაბალი აქტოვობა გამოწვია.

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ, რომელმაც ხმა დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში მისცა, აღნიშნა: "ჩვენთან ორჯერ მეტი ადამიანი აძლევს ხმას, ვიდრე, მაგალითად, ფინეთში. თუ ცოტა აძლევს ხმას, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ ენდობიან. ჩვენი საზოგადოება უფრო შეგნებულია, მას სჯერა თავისი სამომავლო პერსპექტივების." მან ასევე განაცხადა, რომ "იმ ქვეყნებში, სადაც არჩევნები მშვიდად მიმდინარეობს - ბენდიერებაა. ჩვენ არ გვჭირდება რევოლუცია, აფეთქებები, თავპირის მტვრევა, შეჯახებები."

ორშაბათს დღისით ხუთმა ოპოზიციურმა პარტიამ და მოძრაობამ მინსკში პრესკონფერენცია გამართა. მათ აღნიშნეს, რომ არ შეიძლება, ხელისუფლების ქმედებების გამო, ჩატარებულ არჩევნებს გამჭვირვალე და დემოკრატიული უწოდო.

მოძრაობა "თქვი სიმართლის" ლიდერმა და ლუკაშენკოს ყოფილმა კონკურენტმა საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ ნეკლაევმა პრესკონფერენციაზე წარმოადგინა "წითელი წიგნი", სადაც აღნიშნული იყო საარჩევნო კამპანიის დროს მომხდარი დარღვევები და პირობა დადო, რომ ამ ჩანაწერებს აუცილებლად გასაცემს ეუთო-ს დამკვირვებლებს. მისი განცხადებით, მხოლოდ ეს დოკუმენტებიც ამტკიცებს იმას, რომ არჩევნები არ უნდა აღიარონ. ხუთი ოპოზიციური ორგანიზაციის ლიდერმა საერთაშორისო ორგანიზაციები იმისთვის მიიწვია, რომ მათ ბელარუსის ხელისუფლებაზე ზეწოლის პოლიტიკა გააძლიერონ.

ეუთო-ს დამკვირვებლებმა ბელარუსის არჩევნებს საარჩევნო კამპანიის ყველა ეტაპზე "უპატიოსნო" და "არაობიექტური" უწოდეს. მათმა კოორდინატორმა მატეო მეკაჩიმ აღნიშნა, რომ იმ პარტიის 75-პროცენტიანი შედეგი, რომელიც მხარს მოქმედ პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს უჭერს, არ შეიძლება კონკურენტულ ბრძოლაში მიღწეულად მივიჩნიოთ. თუმცა რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ბელარუსში დამკვირვებლად მყოფი ვლადიმირ ჩუროვის აზრით, საპარლამენტო არჩევნები შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას. ნორმალური უწოდეს მას დსთ-ს დამკვირვებლებმაც.

2004 წლიდან ბალარუსის პარლამენტში არცერთი ოპოზიციონერი არ ყოფილა. ამ არჩევნებზეც რეგისტრაციაშიც მხოლოდ ის ოპოზიციონერები გაატარეს, რომლებმაც წინასწარ განაცხადეს, რომ არჩევნების ბოიკოტს აპირებდნენ. შესაბამისად, არჩევნების დღეს რეალური ოპოზიცია ბრძოლაში უკვე აღარც თუ ველარც მონაწილეობდა.

პოლიტიკური პარტიებისა და სამართლებრივი ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" 14 სადამკვირვებლო ჯგუფის განცხადებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ასობით საჩივარი ჯერ კიდევ წინასწარი კენჭისყრის დროს გაეგზავნა, სადაც აღნიშნული იყო საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევები.

საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ლიდია ერმოშინამ კვირას განაცხადა, რომ სერიოზული საჩივრების მიღება კომისიამ დღის მეორე ნახევარში უკვე დაიწყო. მისი განცხადებით, საჩივრები დაკავშირებული იყო დამკვირვებლის უბნიდან მოხსნასთან, საარჩევნო მოხელეთა მხრიდან უხეშობასთან და სხვა. ერმოშინას სიტყვებით, საარჩევნო უბნიდან, სხვადასხვა მიზეზის გამო, 5 დამკვირვებელი გაათავისუფლეს. დამოუკიდებელი დამკვირვებლები იტყობინებიან, რომ დაახლოებით 15 ადამიანი დაშავდა.

კოლეგები 6 საათის განმავლობაში ეძებდნენ დამოუკიდებელ დამკვირვებლებს არინა ლისეცკაიასა და სერგეი მარცელევს. ოპოზიციის აქტივისტები 373-ე და 374-ე ოქლებიდან მოულოდნელად გაქრნენ. საარჩევნო უბნების დახურვიდან ერთი საათის შემდეგ დამკვირვებლები პოლიციაში იპოვეს. "ფრუნზეს რაიონის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს თანამშრომლებმა დაახლოებით დღის პირველ საათზე დაგვაკავეს. თავიდან ბრალს გვდებდნენ, რომ საარჩევნო უბნის შესასვლელთან ვიგინებოდით, შემდეგ დიდხანს ეძებდნენ "ფლეშკას" ფოტოებითა და ვიდეოთი," - განაცხადა ერთ-ერთმა დაკავებულმა სერგეი მარცელევმა. საღამოს ისინი პოლიციიდან ყოველგვარი განმარტების გარეშე გამოუშვეს.

არინა ლისეცკაია მიიჩნევს, რომ პრინციპულ დამკვირვებლებზე თავლთვალი მიმდინარეობდა. "როგორც ჩანს, მათთვის ბოლო წვეთი იყო, როცა ეუთო-ს დამკვირვებლების თანდასწრებით დავაფიქსირე ქალი, რომელიც ცდილობდა, ხმა მეორედაც მიეცა. შემდეგ ვიღებდი მათ, ვისაც ვადამდელი ხმის მიცემის დროს საარჩევნო ყუთებთან ვხედავდი და ვინც კვირას არჩევნებზე კიდევ ერთხელ მივიდნენ."

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

ერთთვიანი აკრძალვა - პონომარიოვს ხმის უფლება ჩამოართვეს

ხათუნა გაბიევი

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში "სპრავედლივაია როსიას" წევრი ილია პონომარიოვი წინდაუხედაობისთვის დასაჯეს და ერთი თვით ხმის უფლებასაც ართმევენ. რეალურად კი მოხდა ის, რომ ოპოზიციონერს პარლამენტის სხდომაზე მმართველი პარტიის მისამართით ცნობილი გამოთქმის "თაღლითებისა და ქურდების" წარმოთქმა არ აპატიეს. სადამსჯელო ღონისძიების გატარებაზე კი "ედიანაია როსიასა" და "რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის" წევრები შეთანხმდნენ.

პონომარიოვისთვის 16 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე ხმის უფლების წართმევის ინიციატივა სახელმწიფო სათათბიროს ეთიკის კომისიამ გაახმოვანა. კომისიის ხელმძღვანელის ვლადიმირ პეხტინის თქმით, რეკომენდაცია ამ საკითხზე სახელმწიფო სათათბიროს საბჭოსთვის მიმდინარე კვირას იქნება წარდგენილი და პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანილი.

თავად პონომარიოვი ასეთ სასჯელს სიმბოლურს და საჯარო პოლიტიკოსისთვის უკვე სახასიათოდ მიიჩნევს. "გამომდინარე იქიდან, რომ დეპუტატის "აქტიურობა" პლენარულ სხდომებს უკავშირდება, ასეთი სასჯელი გავლენას დეპუტატზე მაინც მოახდენს. თუმცა ბოლო დროს პლენარული სხდომის როლი საკმაოდ შემცირდა, რადგან, რეალურად, გადაწყვეტილებები ფრაქციებსა და კომიტეტებში მიიღება, პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლაც ბევრს უკვე აღარაფერს ნიშნავს," - აღნიშნა ილია პონომარიოვმა "ბი-ბი-სისთან" საუბარში.

ოპოზიციონერმა ალექსეი ნავალნის საავტორო ფრაზა მმართველი პარტიის მისამართით პლენარულ სხდომაზე ივლისში წარმოთქვა. "მივმართავ თაღლითებისა და ქურდების პარტიას, არ დაუჭირონ მხარი მოცემულ კანონს," - წარმოთქვა ილია პონომარიოვმა ივლისში "ედინაია როსიასადმი" გაკეთებულ მიმართვაში. ამ ფრაზაზე კომენტარის გაკეთება პონომარიოვს აქამდე ერთხელ უკვე მოუხდა და მაშინ დეპუტატმა ირონულად შენიშნა, რომ კონკრეტული ადრესატი მის წინადადებას არ ჰყოლია, უბრალოდ, თავი შეურაცხყოფილად იმ დეპუტატებმა იგრძნეს, რომლებმაც ოპოზიციონერის ფრაზა საკუთარ თავზე მიიღეს. ილია პონომარიოვი არც იმას გამორიცხავს, რომ ზემოაღნიშნული სასჯელი, შესაძლოა, მისთვის ბოლო არც იყოს. "საგამოძიებო კომიტეტი ხომ საქმეშია ჩართულია, ეს საქმე არ გაჩერებულა, ამიტომ ამ მიმართულებით ზეწოლაც გაგრძელდება. ამის გამორიცხვა არაფრით შეიძლება," - განაცხადა ოპოზიციონერმა დეპუტატმა დასავლურ მედიასთან საუბარში.

საგამოძიებო კომიტეტი კი იმ საქმეზე მუშაობს, რომელშიც დეპუტატმა იგულისხმა იმ პირთა დაკითხვაზე დაბარება, რომლებიც პონომარიოვთან არიან დაკავშირებულები. დაკითხვა ბალოტნაიას მოედანზე 6 მაისს დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის გამართულ მუშტი-კრივს ეხება.

ილია პონომარიოვი პირველი არ არის ბოლო მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც "ედინაია როსიას" წევრებმა დასაჯეს - მის ინციდენტს წინ გენადი გუდკოვის შემთხვევა უძღოდა, უბრალოდ, გუდკოვს გაცილებით მკაცრად მოექცნენ და "დეპუტატის სტატუსთან შეუფერებელი კომერციული საქმიანობისთვის" სადეპუტატო მანდატიც ჩამორთვეს.

ამერიკა პაკისტანელი მინისტრის განცხადებას გმობს

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო პაკისტანელი პოლიტიკოსის განცხადება, რომელმაც 100 000 დოლარის ჯილდო დააწესა იმ პირისათვის, ვინც ანტისლამური ფილმის "მუსულმანთა უცოდველობის" შემქმნელს მოკლავს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პაკისტანელი მინისტრის გულამ აჰმად ბილურის ინიციატივას "არაკორექტული და დაპირისპირების კიდევ უფრო გამამწვავებელი" უწოდა. "24 საათის" მკითხველმა კარგად იცის, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმს არაერთ ქვეყანაში აპროტესტებენ, რასაც უკვე ათობით ადამიანი შეეწირა.

"ამერიკის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმაც უკვე განაცხადეს, რომ აღნიშნული ვიდეო ამაზრზენი და შეურაცხმყოფელია. თუმცა ეს არ ამართლებს ძალადობას და ლიდერებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მას წინ აღუდგნენ. აქედან გამომდინარე, ბილურის განცხადება ჩვენ არაკორექტულად მიგვაჩნია. აღვნიშნავთ, რომ პაკისტანის პრემიერ-მინისტრის კანცელარიამ მისი კომენტარისაგან თავი შორს დაიჭირა," - აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა "ბი-ბი-სისთან" ინტერვიუში.

აჰმადინეჯადი ანტიისლამურ ფილმსა და ამით გამოწვეულ ძალადობას გმობს

გუშინ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ანტიისლამური ფილმი და ამ ფილმთან დაკავშირებული ძალადობა გააკრიტიკა. "პირველ რიგში, ჩვენ ვგმობთ ყველა იმ ქმედებას, რომელიც შეურაცხყოფს ხალხის რელიგიასა და მათ გრძნობებს. ამასთან, ჩვენ ექსტრემიზმსაც ვგმობთ. ცხადია, რაც მოხდა - სიმახინჯეა. ამას სიტყვის თავისუფლებასთან არავითარი კავშირი არ აქვს," - განაცხადა აჰმადინეჯადმა "სი-ენ-ენთან" ინტერვიუში.

პირს მორგანთან ინტერვიუში აჰმადინეჯადმა იმაზეც ისაუბრა, რას მოიმოქმედებს ირანი ისრაელის მხრიდან დარტყმის შემთხვევაში: "ყველა ქვეყანას გააჩნია უფლება და სურვილი, დაიცვას საკუთარი თავი." ამასთან, კვირას ირანელმა გენერალმა ჰუსეინ სალამმა განაცხადა, რომ თავდასხმის შემთხვევაში ირანს ისრაელის დამარცხება 24 საათში შეეძლება.

დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რის გამოც ამერიკამ და ევროკავშირმა ქვეყანას მკაცრი სანქციები დაუწესეს. თავად ირანი აღნიშნულს უარყოფს და აცხადებს, რომ მას ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება. ისრაელი ირანის შესაჩერებლად ქვეყნის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმას უჭერს მხარს. ასეთ რადიკალურ ნაბეჯს ამ დროისათვის ამერიკა ეწინააღმდეგება.

ჩინელი მაღალჩინოსანი ავღანეთს ეწვია

ჩინელი მაღალჩინოსანი პოლიტბიუროს წევრი ზუ იონგკანგი წინასწარ გაუხმაურებელი ვიზიტით ავღანეთში ჩავიდა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის შეხვდა. ჩინური სახელმწიფო სააგენტოების ცნობით, მხარეებმა არა ერთ საკითხზე იმსჯელეს, მათ შორის, ინვესტიციებზე, ორმხრივ ვაჭრობაზე, ტერორიზმსა და ნარკოტიკებით ვაჭრობაზე. 1955 წლიდან მოყოლებული ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როდესაც ქვეყანას ჩინელი მაღალჩინოსანი ეწვია. ზუ იონგკანგის ვიზიტი, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, გასაიდუმლოებული იყო.

ბერძნული საინფორმაციო საშუალებები 24 საათის განმავლობაში გაიფიცებიან

გუშინ საბერძნეთის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა 24-საათიანი გაფიცვა გამართეს. აღნიშნულით მთავრობის მიერ მკაცრი ეკონომიის ზომების გატარებას აპროტესტებენ. სახელმწიფო, კერძო ტელეარხები და რადიოსადგურები საინფორმაციო გამოშვებებისა და გასართობი გადაცემების ჩვენებას შეწყვეტენ. არ განახლდება ახალი ამბების ვებგვერდების დიდი ნაწილი. ამასთან, სამშაბათს ქვეყანაში არ გამოვა გაზეთები. აღნიშნული გაფიცვა საყოველთაო გაფიცვამდე ორი დღით ადრე გაიმართება, რომელიც ოთხშაბათს არის დაგეგმილი.

დამასკოში სირიის ოპოზიციის შეხვედრა გაიმართა

სირიის ოპოზიციური ჯგუფები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის განსახილველად გუშინ ქვეყნის დედაქალაქ დამასკოში შეიკრიბნენ. სახელმწიფო არხების ცნობით, შეხვედრაში ოცზე მეტი ოპოზიციური ჯგუფი იღებდა მონაწილეობას, თუმცა მათ შორის არ იყო ყველაზე ძლიერი ოპოზიცური გაერთიანება - სირიის ეროვნული საბჭო. სახელმწიფო ტელეარხები აღნიშნავენ, რომ შეხვედრაზე მონაწილეებმა "დიალოგის" აუცილებლობაზე ისაუბრეს. თავად შეხვედრის მონაწილეებმა კი აღნიშნეს, რომ ისინი სირიელ სამხედროებს მოუწოდებენ, გადადგნენ და თავისუფალი სირიის არმიას შეუერთდნენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ბათუმმა "სიბნელეში" მოიწონა

პირველი გვერდიდან

კინოფესტივალის პროგრამა მხოლოდ ფილმების ჩვენებას არ ითვალისწინებდა, ჩატარდა რამდენიმე მასტერკლასიც, მათ შორის, ყველაზე აღსანიშნავი ალბათ 22 სექტემბერს გამართული ბელა ტარის მასტერკლასი გახლდათ, რომელმაც ფესტივალის სტუმრებს თავისი უკანასკნელი ნამუშევარი "ტურინის ცხენიც" წარუდგინა.

"ტურინის ცხენი" ქართველმა მაყურებელმა შარშანდელ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე ვნახეთ, უფრო სწორად, ვნახეთ მაყურებლის იმ ნაწილმა, ვინც თითქმის სამსაათიანი კინონირვანას - რუხი ფერებით შექმნილ ამ ფერწერულ ტილოს, სისხლის გამყინავი მუსიკითა და ქარის გამუდმებული წუილით გამოხრულ სანახაობას გაუძლო. ბევრმა ბელა ტარის სახელი სწორედ ამ ფილმით გაიგო და რა სამწუხაროა, რომ უნგრელმა რეჟისორმა თავისი კინოკარიერა დაასრულა. ბათუმის კინოფესტივალს კი ნამდვილად ეკუთვნის შექება ასეთი სტუმრის ჩამოყვანისთვის.

მხატვრული ფილმების კონკურსს ხუთწევრიანი ჟიური აფასებდა: ელდარ შენგელაია (საქართველო, ჟიურის თავმჯდომარე), სერგეი ლავრენტიევი (რუსეთი), ნიკ ჰოლდსვორთი (დიდი ბრიტანეთი), გიორგი პალფი (უნგრეთი) და რიჩარდ ბრილსკი (პოლონეთი). აგნეშკა ჰოლანდის დრამას სწორედ მათ მიანიჭეს უპირატესობა. "სიბნელეში" მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიმდინარე მოვლენების ამსახველი ფილმი გახლავთ. მოქმედება ფაშისტების მიერ ოკუპირებულ მინსკში მიმდინარეობს. კანალიზაციის დარაჯი შემოვლისას გეტოს ლიკვიდაციის დროს გადარჩენის მიზნით დამალული ებრაელების ჯგუფს პოულობს და ფულის სანაცვლოდ მათ მიწისქვეშა კატაკომბებში თავშესაფარს სთავაზობს. "სიბნელეში", როგორც ამ თემატიკის ფილმებს ახასიათებს, ძალიან მძიმე და დრამატულად დატვირთული ფილმია და ის უკვე შერაცხეს ცნობილი პოლონელი რეჟისორის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად. შეგახსენებთ, რომ აგნეშკა ჰოლანდის ეს ფილმი წლევანდელ "ოსკარზეც" იყო ნომინირებული, თუმცა არაჩვეულებრივ ირანულ "გაყრას" კონკურენცია ვერ გაუწია.

კადრი ფილმიდან "ქათამი ქლიავით"

კადრი ფილმიდან "სიბნელეში"

საუკეთესო რეჟისორის წოდება ბათუმის კინოფესტივალის ჟიურის მხრიდან თურქმა ემინ ალპერმა, ფილმის "მთებს მიღმა" ავტორმა დაიმსახურა. "მთებს მიღმა" ალპერის სადებიუტო ნამუშევარია და თურქეთის ერთ-ერთი სოფლის ცხოვრებას, მის დუნე და არაფრით გამორჩეულ ყოფაში უეცრად შემოჭრილი უცხო ადამიანებისა და ადგილობრივების დაძაბულ ურთიერთობას აღწერს. ირანელი ალი მოსაფასთვის კი "ბოლო ნაბიჯი" მეორე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ნამუშევარია. ამ ფილმის მსახიობმა ალირეზა აკხანმა პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის მიიღო. პრიზით აღინიშნა ვინსენტ პარონოსა და მარიან სატრაპის "ქათამი ქლიავით" - ჟიურიმ ამ ფილმში ქალის მთავარი როლის შემსრულებელი გოლშიფტეჰ ფარაჰანი დააჯილდოვა. გაიცა ჟიურის სპეციალური პრიზიც, რომელიც უკრაინელი ევა ნეიმანის ფილმს "სახლი კოშკურით" გადასცეს.

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსის რჩეული გახდა პოლონელი ვოიცეხ სტარონის ფილმი "არგენტინული გაკვეთილი", ხოლო ჟიურის სპეციალური პრიზი ბრიტანულ ფილმს "იძულებითი რევოლუციონერი" ერგო (რეჟისორი შონ მაკალისტერი).

როგორც იცით, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების კონკურსში ერთი ქართული ნამუშევარიც არ მონაწილეობდა, სამაგიეროდ, ჩვენი პროდუქციის სიუხვე შეიმჩნეოდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების ნომინაციაში. ჟიურის გადაწყვეტილებით სწორედ ქართულმა ფილმმა, ტატო კოტეტიშვილის "საზამთრომ" გაიმარჯვა, ჟიურის სპეციალური პრიზი კი პოლონელი ლუკაშ ბოროვსკის "თავისუფლების სამ დღეს" ერგო.

ტრადიცულად გასცეს პრიზი მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის (Lifetime Achievement Award) და მისი მფლობელი ბელა ტარია, თუმცა ფესტივლის გახსნამდე ამ ჯილდოს გადაცემა სულ სხვა კინომოღვაწეებისთვის იგეგმებოდა...

კინომოყვარულებს კი ქვეყნის მთავარ კინომოვლენას, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს დავუანონსებთ: ფესტივალი 3-დან 9 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება. საფესტივალო პროგრამისა და სტუმრების შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არაფერია.

სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა მოსწავლეებსაც შეუძლიათ

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც რამდენიმე წელია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოში სამეცნიერო კვლევებს და ამით მეცნიერების პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ამჯერად საგრანტო კონკურსს მოსწავლეებისათვის აცხადებს. კონკურსი - "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" - მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლებას ემსახურება და მიმართულია სასკოლო განათლების სისტემისა და სამეცნიერო საქმიანობის დაახლოებისაკენ. კონკურსის მიზანია მოსწავლეთა დაინტერესება სამეცნიერო-საკვლევი საქმიანობით, მათ შორის, კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, პარალელურად კი, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად. კონკურსის მიზანს წარმოდგენს მეცნიერთა, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერთა ინტერესის გაზრდაც სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვას, რომელიც დაეხმარება პედაგოგსაც და მოსწავლესაც შემეცნების რთულ პროცესში. საკვლევ პროექტში მონაწილეობა დაეხმარება მოსწავლეს, გაიაზროს ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა.

კონკურსი განკუთვნილია VIII, IX, X, XI ან XII კლასის მოსწავლეებისათვის და მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს: მათემატიკა, ინფორმატიკა, ფიზიკა, ქიმია, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ეკოლოგია;

საკონკურსო პირობების მიხედვით, კონკურსის ფარგლებში წარდგენილი პროექტები უნდა ითვალისწინებდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით კონკრეტული სამეცნიერო საკითხის კვლევას. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, ხოლო ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 6 000 ლარს.

პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია 2012 წლის 14 ოქტომბრის 24 სთ-მდე; კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 17 ოქტომბრის 18:00 საათი.

საკონკურსო პროექტი ერთობლივად უნდა წარადგინონ ლიდერთა ჯგუფმა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ - სკოლამ. ამასთან პროექტის მონაწილე, საჯარო სკოლასთან ერთად, შესაძლებელია იყოს კერძო სკოლაც, თუმცა კი პროექტში მონაწილე კერძო სკოლა ვერ იქნება გრანტის მიმღები და ვერ მიიღებს მონაწილეობას როგორც გრანტის თანხების, ასევე მის ფარგლებში შეძენილი ქონების განაწილებაში;

ლიდერთა ჯგუფი შედგება: მეცნიერ-ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და, საჭიროების შემთხვევაში, ასისტენტისაგან. გრანტის მიმღები შესაძლებელია იყოს მეცნიერ-ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი და საჯარო სკოლა ან სკოლები ერთობლივად.

მეცნიერ-ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, თანახელმძღვანელი კი - მოსწავლეებთან მომუშავე მოქმედი მასწავლებელი. პროექტში შეიძლება მონაწილეობდეს ასისტენტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ან პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირი, რომელიც ეხმარება მეცნიერ-ხელმძღვანელს ან თანახელმძღვანელს პროექტის განხორციელებაში, რომელთა ჩართულობა პროექტში აუცილებელია. ასისტენტის ჩართულობა კი სავალდებულო არაა. გასათვალისწინებელია, რომ მეცნიერ-ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს კონკურსის ფარგლებში აქვთ მხოლოდ ერთ დაფინანსებულ-დასაფინანსებელ პროექტში მონაწილეობის უფლება. პროექტის საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელი. კვლევის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენონ როგორც საჯარო სკოლის ბაზა, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზა, პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება რჩება პროექტში მონაწილე საჯარო სკოლას, ხოლო პროექტში რამდენიმე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობის შემთხვევაში ქონების განაწილება უნდა განხორციელდეს წინასწარი შეთანხმების გზით.

დეტალური ინფორმაციის ნახვა კონკურსის პირობების შესახებ შესაძლებელია რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე.

24 საათი

თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იწყება

სოფიო ნემსაძე

27 სექტემბერს თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, "კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის" ორგანიზებით "მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი" დაიწყება. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძეა.

2012 წლის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში ფესტივალის დამაარსებლის, თანამედროვეობის გამოჩენილი პიანისტის - ელისო ვირსალაძის საკონცერტო მოღვაწეობის 50 წლისთავს ეძღვნება.

წლევანდელი ფესტივალი, კონცერტების გარდა, მსმენელს ბევრ სიახლეს ჰპირდება. ფესტივალი ტარდება რეკონსტრუირებულ, განახლებულ თელავში, რაც ახალ შთაბეჭდილებებს შემატებს ფესტივალზე დამსწრეთ; თელავის ვაჟა-ფშაველას სახ. დრამატული თეატრის ფოიეში გაიხსნება ელისო ვირსალაძისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატები იქნება წარმოდგენილი; 19 ოქტომბერს გაიმართება წიგნის - "ელისო ვირსალაძე" - პრეზენტაცია.

ფესტივალის გახსნის კონცერტი გაიმართება 27 სექტემბერს, ხოლო საზეიმო დახურვა - 21 ოქტომბერს. წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში სულ 6 კონცერტი გაიმართება, აქედან სამი - საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით. ორკესტრი საგანგებოდ ფესტივალისთვის დაკომპლექტდა და მასში მაღალპროფესიონალი მუსიკოსები უკრავენ. ორკესტრს წარუძღვებიან დირიჟორები ანატოლი ლევინი და აღმოჩენა, 18 წლის ტიმურ ზანგიევი (ჩრდილოეთ ოსეთი), რომელსაც ასაკის მიუხედავად ევროპელი მსმენელი კარგად იცნობს.

ფესტივალი ქართველ მსმენელს კიდევ ორ ახალგაზრდა პიანისტს წარუდგენს: ივილინ ბერეზოვსკი (დიდი ბრიტანეთი) და კიმ ტე იანგი (კორეა), რომელთაც უკვე აქვთ საკმაოდ აქტიური საკონცერტო ცხოვრება და საუკეთესო შეფასება მსმენელისა და უფროსი თაობის მუსიკოსებისაგან. ფესტივალი სწორედ ამ სამი გამორჩეული ახალგაზრდა მუსიკოსის კონცერტით გაიხსნება.

ნატალია გუტმანი

ბორის ბერეზოვსკი

ფესტივალში მონაწილეობას იღებენ მუსიკოსები საქართველოდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, აზერბაიჯანიდან, შვეიცარიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სომხეთიდან, კორეიდან, პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან.

2012 წლის ფესტივალი გამოირჩევა სოლისტების განსაკუთრებული შემადგენლობით, მათ შორის: ელისო ვირსალაძე, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ლიზა ბათიაშვილი, ბორის ბერეზოვსკი, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი.

კონცერტები, ტრადიციულად, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება.

საფესტივალო საღამოები მსმენელს მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს, რომელშიც მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრებია შესული. საქართველოში პირველად შესრულდება რობერტ შუმანის საავიოლინო კონცერტი.

ბილეთები იყიდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროებში.

ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ 80-ან წლებში დაარსებულ ფესტივალს (სახელწოდებით "ქება ვაზისა") ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით (კონცერტების სერია და მასტერკლასები), არც მონაწილეთა შემადგენლობით. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა.

2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახით (ასევე, სახელწოდებით) აღდგა. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ "Steinway & Sons"-ის საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი შეიძინა. წელს კლასიკური მუსიკის ფორუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. გენერალური სპონსორია კომპანია "კავკასუს ონლაიანი", რომელიც ფესტივალის ონლაინ ჩვენებას უზრუნველყოფს ვებგვერდზე www.co.ge .

ელისაბედ II საკუთარ პორტრეტებს აბროვებს

The Daily Telegraph-ი იუწყება, რომ ელისაბედ II-მ სამეფო კოლექციისთვის ენდი უორჰოლის ოთხი ნამუშევარი შეიძინა. ოთხივე დედოფლის პორტრეტი გახლავთ.

ცნობილია, რომ უორჰოლის მიერ დახატული ელისაბეთის პორტრეტული სერია 1985 წელს შეიქმნა და, რაც მთავარია, ისინი მხატვრის ბოლო ქმნილებებია.

ენდი უორჰოლს პორტრეტები ნატურიდან არ დაუხატავს. მან ისინი 1977 წელს გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით შექმნა და ე.წ. სამეფო სერიის ნაწილი გახდა. აღნიშნულ სერიაში, ელისაბედ დედოფლის გარდა, ნიდერლანდებისა და დანიის სამეფო კარის წარმომადგენლების პორტრეტებიც მოხვდა. სამეფო პორტრეტების სერიის ყოველი ნამუშევარი ბრილიანტის თვლებითა და მინის ნაფშვნებითაა შემკული.

2012 წლის მაისში ცნობილი გახდა, რომ ელისაბედ მეორის ოთხი პორტრეტი "ბონჰემსის" წინასააუქციონო გამოფენაზე გამოიფინებოდა. ასეც მოხდა, გამოფენა 11 ივლისს გაიხსნა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ ოთხივე პორტრეტი ერთმა მყიდველმა შეიძინა. მისი ვინაობა აქამდე უცნობი გახლდათ. სამაგიეროდ, ცნობილი იყო გადახდილი თანხის ოდენობა - დაახლოებით 90 ათასი დოლარი.

ექსპერტებმა უკვე გამოთქვეს ვარაუდი, რომ ბრიტანეთის სამეფო კარისთვის სააუქციონო სახლმა ნამუშევრების ღირებულება განგებ დაწია. ვარაუდი საფუძვლიანია, რადგანაც 2008 წელს ენდი უორჰოლის მხოლოდ ერთი ნამუშევარი - 1963 წელს შექმნილი "რვა ელვისი" - 100 ათას დოლარად გაიყიდა.

დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის განცხადებით, პორტრეტები დედოფლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შეიძინეს. ასევე განაცხადეს, რომ აღნიშნული ნამუშევრები შევა გამოფენის ექსპოზიციაში - "დედოფალი: მონარქის პორტრეტები". გამოფენა უინძორების სასახლეში 23 ნოემბრიდან 2013 წლის ივნისამდე გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ელისაბედ მეორე არაერთ ცნობილ მხატვარს ჰყავს დახატული. შესაბამისად, სამეფო კარის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შეგროვებული ნამუშევრები საინტერესო ექსპოზიციას წარმოადგენს.

24 საათი

"დიდი პრიზი" დიდი თავისუფლებისთვის გამოდგა

ბაქოში ჩატარებულ ჰეიდარ ალიევის სახელობის "ოქროს დიდ პრიზი" საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის ორი ოქროს მედლით დასრულდა, ბერძენ-რომაელთათვის კი აზერბაიჯანული ხალიჩა წარუმატებელი გამოდგა.

ოქროს მედლებსა და საპრიზოს 10-10 ათას დოლარს ელიზბარ ოდიკაძე (96 კგ.) და გიორგი საკანდელიძე (120 კგ.) დაეუფლნენ. ოდიკაძემ ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე აზერბაიჯანელი ილჰამ აბიდოვი და რუსეთის ნაკრების წევრები: შამილ ახმედოვი და არსლანბეკ ალიევი ჩამოიცილა. საკანდელიძემ - აზერბაიჯანელები: ასლან ძებისოვი და ალი ისაევი და რუსი ალექსანდრ ბაზროვი. აქვე ჩასათვლელი მეხუთე ადგილი დაიკავა იაკობ მაქარაშვილმა (74 კგ.)

გიორგი ედიშერაშვილი და ტრისტან ჩირგაძე (ორივე 55 კგ.) საწყის ეტაპზევე დამარცხდნენ, ისევე როგორც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ნიკა ცეცხლაძე (55 კგ.), მარად აბულაძე (66 კგ.), ილია გულბათაშვილი (74 კგ.), რევაზ ნადარეიშვილი (84 კგ.), ირაკლი ქაჯაია (96 კგ.) და სერგო გოგისვანიძე (120 კგ.). ამათგან ბრძოლის რეპეშაჟში გაგრძელების შანსი მხოლოდ ცეცხლაძეს მიეცა, თუმც იქაც ხელი მოეცარა და ტურნირი მე-7 ადგილით დაასრულა.

წლევანდელი "ოქროს დიდი პრიზი" ადრეულ წლებზე გაცილებით სუსტი გამოდგა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ოლიმპიურმა თამაშებმა. ლონდონში მყოფ ცნობილ სპორტსმენთა უმრავლესობამ აზერბაიჯანულ ხალიჩაზე გასვლას დასვენება არჩია.

კიევის "დინამო" სიომინის გარეშე დარჩა

კიევის "დინამოს" ახალი მწვრთნელი ეყოლება. დონეცკის "შახტართან" უკრაინის თასზე 1:4 წაგებული შეხვედრის შემდეგ კიევის "დინამოს" რუსი მწვრთნელი იური სიომინი გუნდიდან წავიდა. კიეველთა ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა სიომინს განეული სამუშაოსთვის და ახალი მწვრთნელის ძებნას შეუდგა.

თუმცა, ჯერ გაურკვეველია, რუსი სპეციალისტი მოხსნეს თუ თავისი ნებით წავიდა კლუბიდან. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ სიომინი "შახტართან" მატჩის დასრულებისთანავე, კიევის ნაცვლად, მოსკოვში გადაფრენილა.

ვინ გაწვრთნის უკრაინის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ჯერ უცნობია.

"ბარსელონას" უსტარი დასჭირდა

არგენტინული "ბოკა ხუნიორსის" 26 წლის მეკარე ოსკარ უსტარი "ბარსელონას" ინტერესთა სფეროში აღმოჩნდა. კატალონიური გუნდის მესვეურები უსტარის "ბარსას" სათადარიგო მეკარის ხოსე პინტუს შემცვლელად მოიაზრებენ.

უსტარის ესპანეთში თამაშის გამოცდილება აქვს. ის თავის დროზე "ხეტაფეს" ღირსებას იცავდა. დაახლოებით ერთი კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ბარსას" "ნიუკასლის" მეკარის ტიმ კრულის შეძენა სურს.

ტერიმ ნაკრები დატოვა

ლონდონის "ჩელსის" მცველმა ჯონ ტერიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. ტერიმ ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია მას რასიზმში სდებს ბრალს.

"ამ განცხადებას საფეხბურთო ასოციაციაში დაგეგმილი მოსმენების წინ ვაკეთებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამამართლა, ასეთი მოსმენა საერთოდ არ უნდა გამართულიყო", - აცხადებს ტერი.

ჯონს ქპრ-ს ფორვარდ ანტონ ფერდინანდის შეურაცხყოფა ედებოდა ბრალად. სასამართლომ ტერი გაამართლა, თუმცა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია მიიჩნევს, რომ ტერი დამნაშავეა და ამ საქმის სპეციალური მოსმენა მაინც დანიშნა.

ნესტა აკრიტიკებს

"მილანს" კარგი პერიოდი ნამდვილად არ უდგას. იტალიის ჩემპიონატში გამართული ოთხი ტურის შემდეგ "როსონერი" სამი ქულით მე-15 ადგილზეა. იტალიაში უკვე მასიმილიანო ალეგრის გადაყენებაზე ალაპარაკდნენ. შესაძლოა, მისი ადგილის დაკავება "მილანში" ყოფილ ფორვარდს, ამჟამად კი ახალგაზრდული გუნდს თავკაცს, პიპო ინძაგის სურდეს. საქმე ის არის, რომ ახლახან ალეგრის და ინძაგის უჩხუბიათ. სიტყვიერი შეხლა-შემოხლა კინაღამ ხელჩართულ დაპირისპირებაში გადასულა. ალეგრის მიაჩნია, რომ ინძაგი კლუბის მესვეურებს ურჩევს, მას თანამდებობა დაატოვებინონ.

მომხდარ ამბავს "მილანის" ყოფილი მცველი ალესანდრო ნესტა გამოეხმაურა. "რა უნდა ვთქვა. ბავშვებივით იქცევიან. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ რაც პრესაში წავიკითხე, თუ იმით ვიმსჯელებთ, მათ საქციელს ბავშვების საქციელს თუ შევადარებ", - აღნიშნავს ნესტა.

კომპანი "სიტის" ერთგული იქნება

"მანჩესტერ სიტის" კაპიტანი ვისენ კომპანი აცხადებს, რომ კლუბის დატოვებას არ აპირებს. 26 წლის ბელგიელი მზადაა კარიერა "სიტიში" დაასრულოს და "ქალაქურ" გუნდს იმ შემთხვევაშიც კი არ უღალატებს, თუ მისით "ბარსელონა" ან "რეალი" დაინტერესდებიან.

"სხვა კლუბში გამიჭირდება იმ დონეზე მისვლა, რასაც "სიტიში" მივაღწიე. ამის გარანტია არ მექნება. ვფიქრობ, "სიტიშიც" შემიძლია იმდენი ტიტულის მოგება, რამდენსაც "რეალსა" და "ბარსელონაში" მოვიგებდი. "რეალში" ითამაშებ - რონალდუ დაგჩრდილავს, "ბარსაში" გადახვალ - მესი. მირჩევნია, "სიტის" კაპიტანი ვიყო. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. რა თქმა უნდა, პაპარაცები ჩემით ინტერესდებიან, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის", - თქვა კომპანიმ.

ტყვიასთან დამარცხებული

გიგა გურასაშვილი

კრივის სამყაროში გლოვაა გამოცხადებული. შაბათ საღამოს პრეტორიის ერთ-ერთ რესტორანში ძარცვისას ატეხილი სროლისას ტყვიამ იმსხვერპლა კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, 46 წლის სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსი.



"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, სანდერსი ნათესავებთან ერთად აღნიშნავდა დისშვილის 21 წლის იუბილეს. დაბადების დღე კი სისხლის ღვრით დასრულდა.

თითქოს არაფერი ცუდს არ მოასწავებდა, ყველა მხიარულობდა. უცებ რესტორანში სამი მძარცველი შევარდა და უმისამართო სროლა ატეხა.

ერთი ტყვია სანდერსს მკლავში მოხვდა, მეორე კი, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა, მუცლის არეში, როდესაც იუბილარ დისშვილს იცავდა მძარცველებისგან. ექიმების თქმით, კორი რვა საათის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს, კვირა დილით კი გარდაიცვალა.

შეუპოვრობა და რკინის ხასიათი - ეს იყო ის, რითაც გამოირჩეოდა სანდერსი როგორც ცხოვრებაში, ისე რინგზე.

ბავშვობაში სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობისთვის ტრადიციული სპორტის სახეობებით - წყლის თხილამურებით, გოლფითა და რაგბით იყო გატაცებული (სადაც წარმატებებსაც აღწევდა), მაგრამ მამის, ყოფილი პროფესიონალი მოკრივის გავლენით, ბოლოს მაინც კრივი აირჩია.

Bუნებრივია, ყველაფერი სამოყვარულო კარიერით დაიწყო - 1979 წელს ახალბედა მოკრივე იუნიორთა შორის ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ასეთივე წარმატებას კიდევ ექვსჯერ მიაღწია იუნიორებსა და ახალგაზრდებში. სამოყვარულო რინგზე სანდერსმა 180 ბრძოლაში გაიმარჯვა და მხოლოდ 11-ჯერ დამარცხდა. თუმცა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩხუბის გამოცდილებას ვერა და ვერ იძენდა. საქმე ის არის, რომ იმხანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სამხრეთ აფრიკაზე გაცემული სანქცია მომავალ ჩემპიონს მიზნისკენ მიმავალ გზას უღობავდა. ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის დატოვება იყო.

80-იანი წლების ბოლოს "ბომბდამშენს", როგორც მას უწოდებდნენ, გულმა პროფესიული რინგისკენ გაუწია. 1989 წელს უარი თქვა სამოყვარულო კრივზე, უარი თქვა პოლიციელობაზე, სადაც ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა და პროფესიონალი მოკრივის ლიცენზია მიიღო.

უკვე როგორც პროფესიონალმა, პირველი ბრძოლა ჩაატარა კინგ-კონგ დიუბელეს წინააღმდეგ, რომელიც პირველივე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო. ამას მოჰყვა გამარჯვებები შედარებით ნაკლებად ცნობილ მოკრივეებზე. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო 1993 წელს, როდესაც რამდენიმე წუთში ძლიერ ამერიკელ მოკრივეს ბერტ კუპერს ცხვირ-პირი დაუსისხლიანა და მესამე რაუნდში ბრძოლის გაგრძელებაზე უარი ათქმევინა.

კუპერზე ხმაურიან გამარჯვებას კიდევ ბევრი ნოკაუტი მოჰყვა. 1995-97 წლებში ძლიერ მოკრივეებთან ჩატარებული მატჩების შემდეგ, სამხრეთაფრიკელმა 1997 წელს პირველ ტიტულს გაუსინჯა გემო - 5 ნოემბერს კრივის მსოფლიო კავშირის (WBU) ჩემპიონის წოდებისთვის ამერიკელი როს პიურიტი დაამარცხა. კავშირის ჩემპიონად სანდერსი სამი წლის განმავლობაში იწოდებოდა - სამჯერ დაიცვა ტიტული. ტიტულის დამცავი მეოთხე ბრძოლა კი მისი კარიერისთვის, ალბათ, ყველაზე მძიმე წაგებით დასრულდა. საუბარია ჰასიმ რაჰმანთან ჩხუბზე, როდესაც სამხრეთაფრიკელი მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. ამერიკელთან წაგების შემდეგ სანდერსს წელიწად-ნახევარი რინგისკენ არ გაუხედავს. ასეთი პაუზის შემდეგ ფიქრობდნენ, რომ სანდერსი კარიერას დაასრულებდა. ვარაუდი არ გამართლდა. სანდერსი რინგს დაუბრუნდა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. 2003 წელს კორიმ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა, ამჯერად კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონობისთვის. ამ ტიტულისთვის სანდერსს ურთიერთობა უნდა გაერკვია მანამდე დაუმარცხებელ "დოქტორ ფოლადის უროსთან" - ვლადიმირ კლიჩკოსთან. უკრაინელის ზომა-წონისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით, სამხრეთაფრიკელს ყველა წაგებას უწინასწარმეტყველებდა. ერთადერთი, ვისაც გამარჯვების სჯეროდა, თავად სანდერსი იყო.

2003 წლის 8 მარტს ჰანოვერში ჩატარებული მატჩი სამუდამოდ შევიდა კრივის ისტორიაში - დაუმარცხებელმა უკრაინელმა ყველაფერში წააგო. პირველ რაუნდში ორჯერ წაიქცა, ნოკაუტს კი გონგის ხმამ გადაარჩინა. მეორე რაუნდში გონგამდე აღარ მისულა საქმე. დასაწყისშივე ვლადიმირი ხელმეორედ წაიქცა. თანაც ისე, რომ წამოდგომა ვეღარ შეძლო. ასე და ამგვარად, კორი სანდერსი ოლიმპოზე ავიდა. თუმცა, ზეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მის საპრომოუტერო კომპანიასა და ორგანიზაციას შორის უთანხმოებით სამხრეთაფრიკელს თავისივე ნებით მოუხდა ჩემპიონის ქამარზე უარის თქმა.

ერთი წლის შემდეგ კორიმ ვლადიმირის უფროს ძმაზე - ვიტალი კლიჩკოზე გაიწია. უფრო სწორად, უკრაინელისთვის კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ქამრის ართმევას შეეცადა, მაგრამ მცდელობა წარუმატებელი გამოდგა - მერვე რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა.

ვიტალისთან წაგების შემდეგ სანდერსი ნაკლებად ცნობილ მოკრივეებთანაც დამარცხდა, რაც საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა მისთვის, რომ 2008 წლის გაზაფხულზე კარიერა დაემთავრებინა. ამ ხნის განმავლობაში ყოფილმა ჩემპიონმა 46 ბრძოლა ჩაატარა, აქედან 42-ჯერ გაიმარჯვა, მათ შორის 31-ჯერ - ნოკაუტით და 4-ჯერ დამარცხდა.

ორიოდე დღის წინ კი კორი სანდერსმა კარიერის მთავარი ბრძოლა წააგო არა რინგზე, არამედ მშობლიური პრეტორიის ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციაში. ეს ბრძოლა რვა საათს გაგრძელდა.

ვიტალი კლიჩკო პოლიტიკაში "უდარით" მიდის თუ მოდის?

გიგა გურასაშვილი

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უკრაინელმა ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ გუშინ დონეცკში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებებით ბევრს თავგზა აუბნია და შეცდომაში შეიყვანა. საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმაზე, რომ უკრაინელი რინგიდან მიდის და თავით-ფეხებამდე პოლიტიკაში ეშვებაო და იქვე მისი ნათქვამიც გამოამზეურეს.

"კრივის ყველა მოყვარულს ვეტყვი, როდესაც კლიჩკო გავა რინგზე, კიდევ არაერთხელ აღიმართება დროშა და აჟღერდება უკრაინის ჰიმნი. გეტყვით, რომ ჩხუბს აღარ ვაპირებ. მყავს ძმა, რომელიც აბსოლუტურად მგავს, ბევრად ნიჭიერია და ბევრად ახალგაზრდა. მხედველობაში მყავს ჩემი უმცროსი ძმა ვლადიმირი".

უფროსმა კლიჩკომ ისიც განმარტა, რომ საკუთარ თავს ბოლომდე მიუძღვნის პოლიტიკას. ეგაა, გუშინ საღამოს საპირისპიროც განაცხადა: "დონეცკში იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ სპორტული კარიერის დასრულება მეცნობებინა. მართალი გითხრათ, დავიღალე ამ საკითხთან დაკავშირებით დასმული შეკითხვებით. როდის მოხდება ეს? არაერთხელ განმიცხადებია, როდესაც მოვა დრო ამის შესახებ ცალკე პრესკონფერენციას მოვაწყობ. დღეს კი კარიერის დასრულებაზე ლაპარაკი ნაადრევია. უკაცრავად თუ დონეცკში მოწყობილ პრესკონფერენციაზე არასაკმარისი აქცენტი გავაკეთე ამ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ასე ციტირებს მასმედია".

ვიტალი მისივე დაარსებული პარტიის - "უდარის" ლიდერია, რომელიც 28 ოქტომბერს უკრაინის უმაღლესი რადას არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება.

დღის პირველ ნახევარში კლიჩკოს მიერ გაკეთებული განცხადებები რეალურად აღიქვა თავად უკრაინელის მენეჯერმა ბერნტ ბიონტემ: "დემოკრატიისთვის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე დევიდ ჰეისთან ჩხუბი", - ბიონტეს ციტირებდა Boxingscene.

გერმანელი მენეჯერისგან განსხვავებული რეაქცია ჰქონდა თავად ჰეის, რაც მოსალოდნელიც იყო. სკანდალისტმა ბრიტანელმა მოკრივემ არ დაახანა და თქვა, კლიჩკომ საპარლამენტო არჩევნებს იმიტომ მიმართა, რომ ჩემთან ჩხუბისთვის აერიდებინა თავიო.

ვიტალი კლიჩკომ პროფესიული კარიერა დაიწყო 1996 წელს, სამი წლის შემდეგ კი კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონობა იზეიმა. ეგაა, ორგანიზაციის ქამარი ათ თვეში ამერიკელ კრის ბერდთან ჩხუბში მხარზე მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგა.

2003 წლის 21 ივნისს კლიჩკოუფროსი საბჭოსა (WBC) და კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ქამრისთვის შეერკინა ბრიტანელ ლენოქს ლუისს. სანახაობრივი ჩხუბი ვიტალის გახეთქილი წარბითა და მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წაგებით დასრულდა. უკრაინელისთვის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონთან წაგება მეორე და უკანასკნელი გამოდგა. ისიც ვთქვათ, რომ მის ნამსახურობათა ნუსხაშია 45 მოგება, მათ შორის 41 ნოკაუტით.

2004 წლის აპრილში ვიტალი კლიჩკომ საბჭოს ქამარი დაისაკუთრა სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან ჩხუბში (შაბათ საღამოს პრეტორიის ერთ-ერთ რესტორანში ძარცვისას ატეხილი სროლისას ტყვიამ იმსხვერპლა კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, 46 წლის სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსი). 2005 წლის დეკემბერში პირველად განაცხადა, რომ კარიერა დაასრულა, მაგრამ მოგვიანებით კრივს მონატრებული რინგს დაუბრუნდა, რათა ხელმეორედ გამხდარიყო ჩემპიონი. ბოლო ორთაბრძოლა წლეულს 8 სექტემბერს, მოსკოვში ჩაატარა და ტექნიკური ნოკაუტით იმარჯვა გერმანელ მანუელ ჩარზე.

ინდიანაპოლისი

ზურაბ თალაკვაძე

როი ჰიბერტი აღმოსავლეთის საუკეთესო ცენტრია

კარგი "ინდიანა" მახსოვს. ლარი ბერდის გუნდი. პირველ ხუთეულში გესტაპოს ბანაკიდან გამოპარული რეჯი მილერი, ცოტა მოუქნელი და ჭკვიანი რიკ სმითსი, პიჟონი და ქეში ჯეილენ როუზი. ლარის იმ გუნდში თავისი ბერდიც ჰყავდა. კრის მალინი. მეოთხე ნომერზე ჩარგეს დეილ დევისი. ლარი დიდ ბიჭს დიდი ბიჭისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკებოდა - აქ დადექი, თუ ვინმე შენზე წამოვა, არ გაინძრე და შენ ისევ იდგები და ის, მეორე ტიპი, სიფათიდან ხიჭვებს ამოიღებს. დევისი მაგარი კაცი იყო. ხუთეულს ალაგებდა მარკ ჯექსონი. ჯონ სტოქტონის (15 806) და ჯეისონ კიდის (11 842) შემდეგ, ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი ზუსტი პასი (10 334) ამ საყვარელმა კაცმა დაირტყა. ლარის ხუთეული გემოვნებით, ბერდის ინტელექტით იგებდა და თეთრი მარტორქა (ანუ, ბერდი) ერთხელ რეგულარულის საუკეთესო მწვრთნელიც (1998) გახდა. უბრალოდ, იმ "პეისერზს" არ გაუმართლა, რომ მაშინ მაიკლ ჯორდანი იყო. ჯორდანში არავის არ გაუმართლა და ყველას გაუმართლა. "ინდიანამ" მოსაგები მოიგო, მოსაგები წააგო და ლარი წავიდა. ბერდი "ინდიანას" გენერალური მენეჯერი გახდა. შარშან ლარი რეგულარულის NBA Executive of The Year (საუკეთესო გენერალური მენეჯერი) იყო. ბერდი ერთადერთია ლიგის ისტორიაში, რომელიც სეზონის MVP, Coach და Executive of The Year დაასახელეს. დღეს ლარის ძველი და დღევანდელი ბენდი, "ინდიანა" გავიაროთ.

აღმოსავლეთში რაღაცები იცვლება, რაღაცები ვერ შეიცვლება და რაღაცები უკვე შეიცვალა.

"მაიამი" ლებრონის და უეიდის პროექტია. გრძელვადიანი პროექტი, რომელმაც პატ რაილის კიდევ ორი ოსკარი უნდა გაუშანსოს. ბოშთან, რაშარდ ლიუისთან და რეი ალენთან ერთად, ლებრონის ექსკურსია კიდევ ერთი სუპერფინალით დაიხურება.

"ორლანდო" საკოლეჯო დონის უინტერესო გუნდია. დუაიტ ჰოვარდთან ერთად ფლორიდაში მზე ჰაშიშს ეწეოდა. დუაიტის გარეშე მზემ სხვაგან მოხია.

"ბოსტონში" ტრადიციებს უფრთხილდებიან და ვეტერანებს უშვებენ. ვეტერანები ტრადიციებს ქმნიან და რეი ალენი ლებრონის მაჩეტე გახდა. ჯეიმსი ალენს ხშირად გახსნის. კევინ გარნეტის აგრესია და პოლ პირსის თვალები ერთ სეზონსაც გაქაჩავენ.

"მილუოკი" საინტერესო პროექტია. ენდრიუ ბოგატი კალიფორნიაში ისვენებს და ახალი "ბაქსი" უფრო სწრაფი, დაქოქილი იქნება. ადრენალინი და ფლეი-ოფი წამოვა.

"ჩიკაგოში" დერიკ როუზის სხეულზე მთელი ილინოისი მუშაობს. "ჩიკაგოში" ლუოლ დენგი ჩიკაგოა და იოაკიმ ნოამ საკალათბურთო მოძრაობებიც დაამუღამა. კიკბოქსინგის ილეთებთან ერთად წავა. "ბულზში" სერიოზული ხალხია.

"ბრუკლინზე" ვიჭორავეთ. დერონი, ჯონსონი, ლოპესი, ჰამფრიზი და უოლასი პირველ ხუთეულში. ტელეტოვიჩი, თოკო და დანარჩენი კარგი ბიჭები - მეორე ეშელონში. პროხოროვი სამ სეზონში ფინალის მოგებას გეგმავს. ბრუკლინში ჩვენი დიდი ინტერესია. თორნიკე ჩვენი მომავალია. პროხოროვიც მომავალია. ბრუკლინის.

"ნიუ იორკში" კიდი ფრენკ სინატრას ჩართავს, წაუძინებს, ცოლს აღარ გალახავს, ჯეი არ სმიტს ბოულინგში მოუგებს და კარიერას დახურავს. კარმელო ენტონი ისევ ვერაფერს ვერ მოიგებს და ერთი სეზონით კიდევ დაიბოლმება. ამარე სტაუდმაიერი დაბერდა და პერის ჰილტონის ჰიტებზე შეჯდა. საცოდავი ამარე. ხდება ხოლმე.

"ატლანტამ" გაუშვა ჯონსონი, მიიღო ბალასტი, დაიტოვა ჯოშ სმიტი და ზაზა ფაჩულიას რესტორანი ჯორჯიაში ნუმერო უნო უნდა გახდეს. ან რესტორანი ჯორჯიაში, ან "ჰოქსი" კალათბურთში. უფრო რეალურია, რომ რესტორანი.

"დეტროიტში" პატარა ბიჭებს ტომასის, ლემბირის, როდმანის, დუმარსის და აგირეს ძველი კასეტები ჩაურთეს. ძველი "პისტონზი" იგებდა და ეს გუნდი წაგებაში დაბერდა, დანაოჭდა. მალე დაიშლება. მიჩიგანში კარგი პოლიციელები, საუკეთესო პიტჩერი (ჯასტინ ვერლანდერი), ყველაზე მაგარი დამრტყმელი (უისებ ბეისბოლიდან, მიგელ კაბრერა) და ცუდი, ერთჯერადი საკალათბურთო გუნდი ჰყავთ. არ მოსულა.

გვრჩება კიდევ რამდენიმე გუნდი და "ინდიანა". ლარი ბერდის, ინდიანაპოლისის "პეისერზი", რომელიც ამ რეგულარულში მოუმატებს. დივიზიონში, სადაც ერთი ფავორიტი ("ჩიკაგო"), ერთი კარგი გუნდი ("მილუოკი") და ორი ცუდი ტიპია ("პისტონზი" და "კლივლენდი"), "ინდიანა" მეორეზე დაჯდება. თუ როუზის ამბები არ მოგვარდება, ლარი შტატს მოგებულ დივიზიონს აჩუქებს. ბერდს უყვარს საჩუქრები.

წინა სეზონში "ინდიანა" აღმოსავლეთის კონფერენციაში (42:24) მესამეზე გავიდა. ფლეი-ოფის პირველ წრეში წამოვიდა "ორლანდო". უჰოვარდო, უცენტრო "ორლანდო" და "პეისერზმა" სერია 4:1 დახურა.

შემდეგ წრეში ლებრონი იყო. "პეისერზმა" ერთი ტესტი მაიამიში ჩააბარა, სერიაში 2:1 წაიყვანა და ჯეიმსმა ნავახა გააძრო, "ინდიანა" საკუთარ სისხლსა და ოცნებებში ჩაახრჩო. სეზონი დაიკეტა. ლარიმ ჩანაწერებს გადახედა.

ჩამოვყაროთ "პეისერზის" ბონუსები.

ბონუსი - დუაიტ ჰოვარდი დასავლეთშია და იქვე დალეწავს საზოგადოებას ენდრიუ ბოგატიც. "ინდიანას" როი ჰიბერტში კონფერენციის საუკეთესო ცენტრი დარჩა.

ბონუსი - ბერდმა "ბობქეთსიდან" დი ჯეი ოგუსტინი წამოიყვანა. დაობებული გუნდიდან ლარისთან. ოგუსტინი დარენ კოლისონს (შარშან, 10.4 ქულა, 4.8 პასი, "დალასში" გადავიდა) შეცვლის. დი ჯეი უფრო სადისტური დამცველი და სტაბილური ახალგაზრდაა.

ბონუსი - დევიდ უესტის გარდა, გუნდში ყველა მოთამაშე 29 და ნაკლები წლისაა.

ბონუსი - დარჩა ტაილერ ჰენსბრო. 2 მილიონად 9.3 ქულა და 4.4 მოხსნა ბონუსია.

ბონუსი - ფრენკ ვოგელი. "ინდიანას" გრეგ პოპოვიჩი. ამ გენერაციის ყველაზე მაგარი მწვრთნელი. მანამდე სკაუტობდა "ლეიკერსში" და "ვაშინგტონში", იყო მთავარი მწვრთნელის ასისტენტი "ფილადელფიასა" და "ბოსტონში".

ბონუსი - ფრენკ ვოგელი მხოლოდ 39 წლისაა.

ბონუსი - "ინდიანა" აკურატული გუნდია. შარშან, რეგულარულში, "პეისერზზე" ცოტა შეცდომას (13.2) მხოლოდ სამი გუნდი ("სან ანტონიო", "კლიპერსი", "ფილადელფია") უშვებდა.

ბონუსი - "ინდიანა" ბევრს ხსნის (43.9).

ბონუსი - სტუმრად ლარის და ვოგელის ბიჭებმა 19 მატჩი მოიგეს. 14 წააგეს. უკეთესი ვოიაჟი მხოლოდ "ჩიკაგოს" (24:9), "სან ანტონიოს" (22:11) და "ოკლაჰომას" ჰქონდათ. ჩვენში დარჩეს და, იმ გუნდებში რუსტერებიც ბევრად უკეთესია.

წავედით მინუსებზე.

მინუსი - დენი გრეინჯერი თამაშიდან ნაკლებს (15.2) ისვრის, ნაკლებს აგდებს (6.3), ცუდი პროცენტით (41.6) აგდებს და მოძრავი მესამე ნომრისთვის ძალიან ცოტა პასს (1.8) იღებს.

მინუსი - გუნდი აგრესიით იგებს და ამავე დროს ბევრ ფოლს (21.7, III ლიგაში) იღებს. ფლეი-ოფში აგრესიას აგრესიით უპასუხებენ. ვოგელი მზად უნდა იყოს.

მინუსი - "პეისერზმა" თამაშიდან სროლების მხოლოდ 43.8 % ჩასვა. "ინდიანაზე" ცუდად იგივეს "საკრამენტო" (22:44), "მინესოტა" (26:40), "ბრუკლინი" (22:44), "კლივლენდი" (21:45) და "შარლოტი" (7:59) აკეთებდნენ. ამ ექვსი გუნდიდან ფლეი-ოფში მხოლოდ "ინდიანა" (42:24) გავიდა.

მინუსი - "ინდიანა" ინდივიდუალურად, იზოლაციებით თამაშობს და თუ გუნდურად უნდა აკრიფოს, შეცდომებს უშვებს. მოკლედ - "პეისერზზე" (18.6) ცოტა პასი შარშან მხოლოდ "ოკლაჰომას" (18.5) ჰქონდა. "ოკლაჰომაში" ერთი-ერთზე დიურანი, უესთბრუქი და ჰარდენი გეთამაშებიან და ეს იფარება. "ინდიანამ" საქმეს უნდა მიხედოს. ან "ინდიანას" მიხედავენ.

■ ■ ■

"ინდიანას" პირველი ხუთეული გამთამაშებლით შეიცვალა. ოგუსტინი, პოლ ჯორჯი (12.6+5.6 მოხსნა+2.4 პასი+1.6 ჩაჭრა), გრეინჯერი (18.7+5.0 მოხსნა+1.0 ჩაჭრა), დევიდ უესტი (12.8+6.6 მოხსნა+2.1 პასი) და ჰიბერტი (12.8+8.8 მოხსნა+2.0 დაფარება+1.7 პასი) ასრულებენ. იგებენ აგრესიით, იგებენ მოქნილი, სწრაფი თამაშით და იგებენ ვოგელით.

გუნდმა "სან ანტონიოდან" სტაბილური მსროლელი ჯორჯ ჰილი წამოიყვანა, მაგრამ ამ ტრანსფერით ვერ გაარტყა. ჰილმა ნორმალური, მეექვსე კაცისთვის რესპექტაბელური სტატისტიკა (9.6+3.0 მოხსნა+2.9 პაის) დასვა, მაგრამ "პეისერზმა" პოპოვიჩთან კავაი ლეონარდი გაუშვა. ლეონარდი თავის პოზიციაზე (მსუბუქი ფორვარდი) ერთ-ერთი საუკეთესო პერსონალური დამცველია. "სან ანტონიომ" მიიღო მომავალი, "ინდიანამ" - ჰილისთვის გასასტუმრებელი უმნიშვნელო ხელფასი (2 086 359).

"დალასიდან" წამოვიდა იან მაინმი (5.8+4.7 მოხსნა). ფრანგი "სან ანტონიოში" ბალასტი იყო. ფრანგი საფრანგეთის ნაკრებშიც ბალასტია. "დალასში", დირკ ნოვიცკისთან და რიკ კარლაილთან ერთად, მაინმიმ აკრიფა, უკომპლექსოდ აზროვნება ისწავლა. "ინდიანაში" იანის დაცვა, 5 ქულა და 4 მოხსნა საჭიროა. ჰიბერტმა უნდა დაისვენოს და თუ როი ფოლების პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაინმი დაიტვირთება.

ისევ გამახსენდა ლარი ბერდის გუნდი. ძველი "ინდიანა". პირველ ხუთეულში გესტაპოს ბანაკიდან გამოპარული რეჯი მილერი, ცოტა მოუქნელი და ჭკვიანი რიკ სმითსი, პიჟონი და ქეში ჯეილენ როუზი. ლარის იმ გუნდში თავისი ბერდიც ჰყავდა. კრის მალინი. მეოთხე ნომერზე ჩარგეს დეილ დევისი. ლარი დიდ ბიჭს დიდი ბიჭისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკებოდა - აქ დადექი, თუ ვინმე შენზე წამოვა, არ გაინძრე და შენ ისევ იდგები და ის, მეორე ტიპი, სიფათიდან ხიჭვებს ამოიღებს. დევისი მაგარი კაცი იყო. ხუთეულს ალაგებდა მარკ ჯექსონი. ჯონ სტოქტონის (15 806) და ჯეისონ კიდის (11 842) შემდეგ, ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი ზუსტი პასი (10 334) ამ საყვარელმა კაცმა დაირტყა. ლარის ხუთეული გემოვნებით, ბერდის ინტელექტით იგებდა.

ეს "ინდიანაც" ბერდის ინტელექტით იგებს. უბრალოდ, შემსრულებლები შეიცვალა.



დენი გრეინჯერი

მანუჩარ მარკოიშვილი: "MVP-ს ტიტულს არ ველოდი"

კვირას, იტალიის საკალათბურთო სუპერთასის მატჩში, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აპენინების უძლიერესი კლუბი სიენას "მონტეპასკი" და "კანტუ". იტალიური სუპერთასი ერთგვარ ქართულ დერბად იქცა - "მონტეპასკიში" ახლახან გადასული ვიქტორ სანიკიძე კანტუელი მანუჩარ მარკოიშვილის წინააღმდეგ. არ გეგონოთ, რომ ეს მხოლოდ სიტყვით იყო ქართული დერბი. თამაში მართლაც ორი ქართველის დუელად იქცა. მართალია, საბოლოოდ ვიკამ უფრო შედეგიანად ითამაშა, მაგრამ მატჩის MVP-ს ტიტული მანუჩარ მარკოიშვილს ერგო წილად. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სუპერთასი სწორედ "მანუს" "კანტუმ" მოიგო.

მარკოიშვილმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე თავისიანთაგან ყველაზე მეტი - 31 წუთი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მან 15 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 3-დან 2 საჯარიმო), 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. მანუჩარის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 14 შეადგინა. ამ შედეგზე უკეთესი მაჩვენებელი "კანტუს" რიგებში კიდევ ორ კალათბურთელს ჰქონდა - ჯერი სმიტს 19 და ტაიუს ალექსს 29, თუმცა, საუკეთესოდ ქართველი კალათბურთელი დაასახელეს.

რაც შეეხება სანიკიძეს, მისი მონაგარი ასეთია: 35 წუთი, 17 ქულა, 16 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება.

სუპერთასის მოგების შემდეგ ქართველი კალათბურთელი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგერდს ესაუბრა.

gbf.ge-ზე გამოქვეყნებულ მარკოიშვილის ინტერვიუს ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობთ.

- სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ საუკეთესოდ დამასახელებდნენ. მატჩის შემდეგ ინფორმატორმა ჩემი გვარი რომ გამოაცხადა, ძალიან გამეხარდა. რაც არ უნდა მოხდეს, ეს ტიტული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება ჩემს კარიერაში. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მთავარი გუნდის გამარჯვება იყო. MVP-ს ტიტულმა ძალიან გამახარა. მან გამილამაზა ის წარმატება, რომელსაც გუნდთან ერთად მივაღწიე.

- თანაც ტიტული იტალიის ბოლო წლების საუკეთესო გუნდ "სიენას" დამარცხებით მოიპოვეთ...

- აქამდე სადაც შეგვხვდა, "სიენამ" ყველა ფინალი მოგვიგო. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ გუნდს სხვადასხვა ფინალში ოთხჯერ შევხვდით და ვერც ერთხელ ვერ დავამარცხეთ. ამის გათვალისწინებით, ეს გამარჯვება ძალიან სასიხარულო იყო. მატჩი დაძაბული გამოვიდა. ყველა კალათბურთელმა მაქსიმუმი გაიღო და საბოლოოდ გამარჯვებას მივაღწიეთ.

- როგორ ფიქრობ, სეზონთშორის განხორციელებული ტრანსფერების შემდეგ "სიენა" ხომ არ დასუსტდა?

- არა. სიენელებმა ისეთი კალათბურთელები დაიმატეს, რომლებიც იტალიურ კალათბურთში აღიარებულები არიან. ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ და ეს გუნდი ამას მომავალ სეზონშიც დაამტკიცებს. ამიტომ ორმაგად სასიხარულოა ეს გამარჯვება. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ არის აზრი, რომ "სიენა" ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო დამარცხდა. როგორც უკვე ვთქვი, მათ მწვრთნელს, სიმონე პიანიჯანის "კანტუ" აქამდელ ფინალებში დამარცხებული ჰყავდა და ალბათ ახლაც გამარჯვებას ელოდა.

მარკოიშვილი გამარჯვებას აღნიშნავს

- მიუხედავად იმისა, რომ კანტუელთაგან საერთო სარგებლიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი არ გქონია, საუკეთესოდ დაგასახელეს...

- არ ვიცი, არც მე ველოდი აღიარებას, თუმცა, ალბათ იყო მომენტები, რის გამოც MVP-ს ტიტული გადმომცეს. ალბათ გარედან უნდა უყურო ამ თამაშს და მიხვდები. მხოლოდ ციფრები ნამდვილად არაფერს წყვეტს. ავიღოთ თუნდაც ვიქტორ სანიკიძე, რომელსაც ძალიან მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა.

- "სიენას" რომ მოეგო, შენს ტიტულს სანიკიძეს მისცემდნენ. რას იტყვი ვიქტორის თამაშზე?

- ყველამ დაინახა, თუ რა დონის მოთამაშეა სანიკიძე. მან ძალიან კარგად ითამაშა და ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. ჩვენ გუნდური თამაშის ხარჯზე მოვახერხეთ და გავიმარჯვეთ.

- სეზონი ტიტულის მოგებით დაიწყეთ. რა გეგმები გექნებათ მომავალ სეზონში?

- ვთამაშობთ ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც რვა გუნდი ერთი საგზურისთვის იბრძვის. ჩვენი უახლოესი მიზანი ევროლიგაში მოხვედრაა.

- იმ ტრანსფერებიდან გამომდინარე, რაც გუნდში განხორციელდა, როგორ ფიქრობ, "კანტუ" გაძლიერდა?

- ვიტყოდი, რომ გაახალგაზრდავდა. ეს არ ნიშნავს, რომ დასუსტდა. გვყავს რამდენიმე ახალი კალათბურთელი, რომლებიც ერთმანეთს უფრო შეეწყობიან. იმედი მაქვს, კონკურენტუნარიანი გუნდი გვეყოლება. იმედი მაქვს, სუპერთასის მოგებას არ დავჯერდებით და ჩვენს ერთგულ გულშემატკივარს კიდევ გავახარებთ.

- სუპერთასის მოგება "კანტუს" გულშემატკივრებმა როგორ აღნიშნეს?

- ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ ის სიხარული, რომელიც გულშემატკივრებმა განიცადეს. მარტო კალათბურთის ფანები კი არა, მთელი ქალაქი ზეიმობდა. მატჩის საღამოს, კანტუში რომ დავბრუნდით, ღამის 3 საათი იყო. ქალაქში ათეულობით ქომაგი დაგვხვდა. მეორე დღს კი ნამდვილი სახალხო ზეიმი გაიმართა. საღამოს ვარჯიშის შემდეგ ქალაქის მთავარ მოედანზე უამრავი ადამიანი შეიკრიბა. მგონი სახლში არავინ დარჩენილა, ყველა ჩვენ შესახვედრად მოვიდა. ტელევიზიებიც იქ იყვნენ და პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ზეიმის კადრებს. უბედნიერესი წუთები იყო. ვეცდებით, ახალი წარმატებებით გავახაროთ "კანტუს" ქომაგები.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა ARTANUJI

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე